

კაპბასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14').

№ 8-9 (15-16) აგვისტო-სექტემბერი 1938 № 8-9 (15-16)

უ ი ნ ა ა რ ს ი :


- გ. ჭაჭიაშვილი — 29 აგვისტო
- რ. გაბაშვილი — პოლიტიკა და პატრიოტიზმი
- ა. კანტემირ — სომხური საკითხი და კავკასია
- გ. კვინიტაძე — არტაანის აღება
- ი. გვარამაძე — ეკატერინე გაბაშვილის ხსოვნისათვის
- დინარელი — პოლემიკა და მისი წესები
- ს. ურუშაძე — პატრიოტიზმი და მისი შესაძლებლობანი
- ვლ. ემუხვარი — ჩემს ბრალმდებელთ (გაგრძელება)
- გრ. დიასამიძე — ლეონ ტოლსტოი საქართველოში
- ზურაბ ციციშვილი — ფიც-დადებულნი.
- რ. გ. — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

29 აგვისტო

ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული
სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო,
მაინც დარჩება.

ნ. ბარათაშვილი

შესრულდა 14 წელიწადი, რაც შეურიგებელმა ქართველმა ერმა
რუს ბოლშევიკების ოკუპაციას, მრავალ ბრძოლების შემდეგ, საერთო
აჯანყებით უპასუხა.



ეს მოხდა 29 აგვისტოს 1924 წელს. იმ დღიდან 29 აგვისტო ქართულ ისტორიულ თარიღად გადაიქცა. მისი მნიშვნელობა, როგორც პოლიტიკური აქტისა, დროთა მსვლელობაში, უფრო მკაფიოდ გამოჩნდება. არც შესუსტდება მისი სულსკვეთება სანამ მიზანს არ მივაღწევთ.

აჯანყებაზედ ბევრი ითქვა და დაიწერა. მომხრე და მოწინააღმდეგე მრავალი ჰყავს. ეს ცხარე კრიტიკა მას სრულიადაც არ ამცირებს. აგვისტოს აჯანყება გარკვეული პოლიტიკური აქტია. მას მხოლოდ პოლიტიკური მიდგომა და შეფასება სჭირდება.

საზოგადოდ მიღებულია, რომ პოლიტიკური აქტი შედეგებით ფასდება, და, რაკი აჯანყება დამარცხდა, მას ზოგიერთი სულმოკლე პატრიოტი ავანტიურადა ნათლავს. მაგრამ ხშირად მახლობელ შედეგს შორეული მნიშვნელობა ჰფარავს.

კაცობრიობის ისტორიას და კერძოდ საქართველოს მრავალი აჯანყება ახსოვს. მათ შორის ბევრი დამარცხებულიც. მათ ამისათვის არავინ ჰკიცხავს და ავანტიურად არავინა სთვლის. პირიქით, ხალხი მუდამ ეძებდა და ეძებს თავის წარსულში მოქმედებას, ბრძოლას და წინაპართა რაინდობას. შთამომავლობა მათში ჰპოულობს თავის ეროვნულ სიამაყეს, სიმტკიცეს, მომავალ ბრძოლების საწყისს და გამართლებას. რადგან აჯანყება ფასდება მიზნით და არა შედეგით. ყველამ იცის თუ რა ძნელია აჯანყების მოგება, მაგრამ სხვა ერებსაც არა ერთხელ მიუმართავთ მისთვის, როგორც განთავისუფლების ერთ ერთი საშუალებებისათვის.

ეროვნული ბრძოლა თავის თავად არის მაჩვენებელი ერის სიმწიფის, თვითშეგნების და თავისუფალი ცხოვრებისადმი მედგარი სწრაფვის. ეროვნული აჯანყება იმითი განირჩევა სოციალური რევოლუციისაგან, რომ იგი მოკლებულია მატერიალისტურ მოსაზრებათ და უანგარო ბრძოლაა, მთლიან ეროვნულ იდეალით აღტყინებული.

სოციალური რევოლუციის ზრახვათა დაკმაყოფილება ადვილია ნაწილობრივადაც, მაგრამ ეროვნული ბრძოლა უკომპრომისოა. იგი ითხოვს მიზნის სრულ მიღწევას. მას არას დროს გაუმრუდებია თავისუფლებისაკენ მიმავალი სწორი ხაზი, პირიქით, გამამაგრებელი და გამახალისებელია. ასეთია აჯანყების მნიშვნელობა და ფსიქოლოგია. ამიტომ მხოლოდ მტერი ცდილობს მის დამალვას, მისი მნიშვნელობისა და დაღვრილი სისხლის შემცირებას. ეს არ ნიშნავს რომ აჯანყება უნდა გახდეს ერთად ერთი იმედი და დაუსრულებელ (პერმანენტულ) ბრძოლის საშუალებად გადაიქცეს. აჯანყება, თუნდ დამარცხებული, მუდამ აღწევს თავის მიზანს, მაგრამ იმით სარგებლობს მხოლოდ ის, ვინც მას სწორედ შეაფასებს და გონივრულად გამოიყენებს.

მეტად ძნელია მონაწილეთა მიერ აჯანყების მნიშვნელობაზედ კამათი. სუბიექტივიზმი ადამიანში ხშირად სჭარბობს და აჯანყების დაცვა თავის მართლებას ემსგავსებოდა.

მისი ღირსეული დაფასება დროს ეკუთვნის.

დღეს ყველასათვის უდავოა, რომ აჯანყება მოხდა. მოხდა ხალხის სურვილით. ერმა დაამტკიცა საიდუმლოების შენახვისა და დისციპლინის უნარი უმძიმეს პირობებშიაც. გამოვიდა და გაჰყვა ახალ მეთაურობას, მას ენდო, იბრძოლა, დაღვარა სისხლი, გაიღო მსხვერპლი. ქართულმა იდეამ გააერთიანა საქართველოს ყველა კუთხის შვილი, პოლიტიკური პარტიის, კლასის, წოდების, სქესის და სარწმუნოების მიუხედავად.

ერმა იცოდა რაც სურდა მას. მან იცოდა რომ მსხვერპლს გაიღებდა და ამიტომ არც შებრალება და არც დატირება არავისათვის უთხოვნია. ერთის დაკვრით მან უკუაგდო და სამუდამოდ მოიშორა კლასთა ბრძოლის გამთიშველი პრინციპი და ეროვნული მთლიანობის მტკიცე ნიადაგზე შესდგა. მთავარი ეს არის.

თუ ვინმეს სხვა დაბალი აზრი და მიზანი ამოძრავებდა იმ ისტორიულ დღეს, მით უარესი მისთვის....

აგვისტოს აჯანყება დამარცხდა ... მასთან დამარცხდნენ პოლიტიკური პარტიები, მათი უნიადაგო პროგრამები, უშინაარსო დოქტრინები, უცხო იდეოლოგიები.

გამარჯვებული გამოვიდა ერი, ქართველი ერი — თავის მარადიულ ეროვნულ მისწრაფებით. ერი კვლავ იბრძვის, როგორც ყოველი ცოცხალი და ჯანსაღი ორგანიზმი. მან შეცვალა მხოლოდ მეთოდი. მის ამოცანას შეადგენს აგვისტოს მონაპოვარის გამოყენება და მოვლა.

ქართველ ერს აგვისტო ძვირად დაუჯდა. მისი წყევლა-კრულვა გაჰყვება მათ, ვინც იმ დღემდის იგი მიიყვანა, და ვინც მისი ეროვნული მეობა ინტერნაციონალებში გათქვიფა.

საქართველოს მახლობელ ისტორიიდან სამი თარიღი დარჩება: 26 მაისი, 25 თებერვალი და 29 აგვისტო. მათ შორის მიზეზობრივი თანამიმდევრობა არსებობს. 26 მაისი რომ ბრძოლითა და სისხლით ყოფილიყო მოპოებული, ან მას წინ სძლოლოდა 29 აგვისტო, 25 თებერვალი ჩვენთვის ჩვეულებრივი თებერვლის დღე იქნებოდა და არა ეროვნული ტრადედიის თარიღი. ეს ამბავი უკვე ისტორიამ ჩაიბარა. ისტორიას ცრემლი და ბოღმა ვერ ასწორებს. როდის მიაღწევს 29 აგვისტო თავის მიზანს, ამას მომავალი გვაჩვენებს.

დღეს კი მენშევიზმია დამარცხებული და განადგურებული, ბოლშევიზმი თვითმონღლებს პროცესს განიცდის, დარჩა განზედ საქართველო.

როგორია ის დღეს, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ვიცით რომ ის სხვაა ვიდრე 26 მაისს იყო. ის იზრდება, მას სხვა საზრდო სჭირდება. ის სხვა მეთაურობას თხოულობს.



ამ გონიერ ქართულ მეთაურობის მოლოდინში, ჩვენ ვესალმებით ყველა მათ, ვინც 14 წლის წინად, აღზნებული ქართული გულით გამოვიდა და იბრძოლა დაკარგულ დამოუკიდებლობის აღსადგენად და დაუმსახურებელ სირცხვილის მოსარეცხავად.

გიორგი ჭაჭიაშვილი

პოლიტიკა და პატრიოტიზმი

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში მტკიცედაა ფეხ-გადგმული ყალბი აზრი, რომ ყველა ერის და კერძოდ საქართველოს პოლიტიკა უნდა იყოს ერთი, განუყოფელი და ამიტომ ერთი ორიენტაციისაც; რაც ეწინააღმდეგება არა მარტო რეალურ მდგომარეობას, არამედ არსებითად ქვეყნის ინტერესებსა და განსაკუთრებით საქართველოსას. მაგრამ რეალურად არსებულ დიდსა თუ პატარა სახელმწიფოებში (ერებში) ეს ყალბი, დემაგოგიური აზრი პოპულობს ბუნებრივ შესწორებას სხვა და სხვა სახით, მაშინ როდესაც, ემიგრანტულ პირობებში ჩავარდნილ ფიქციებს („მთავრობასა“ და „მის პარტიას“, ან სხვა „პარტიებსა“ და „ძალებს“, „ჯგუფებს“ და სხვ.), არა მარტო ამ ყალბი აზრის შემცვლელი საგარეო წნეხვა არა აქვს რა, არც შინაგანი გონებრივი, ზნეობრივი თუ ინტერესთა შეგნების იმპულსი ან ჯამი.

ჩვენს თვალწინ, დიდსა თუ პატარა დემოკრატიულ ქვეყნებში იცვლებიან მთავრობანი, მინისტრები, მოკავშირენი, ორიენტაციები*), იმის და მიხედვით, თუ გარე-ქვეყანაში, ან შიგნით რა ცვლილებანი ხდება. მიდიან ზოგჯერ გამარჯვებულნიც, როცა ამას ქვეყნის ინტერესი მოითხოვს. თვით დიქტატორულ ქვეყნებშიაცა ხდება ცვლილებანი**)

ასევე ყველა სხვა დიდსა თუ პატარა, დემოკრატიულ თუ არა დემოკრატიულ ქვეყანაში. ოსმალეთიც კი, რომლის გაკაჟებულმა დიქტატორმა არ დაინდო პალიფატი, მოხსნა „ჩარშავი“ და „ფესკა“ თავის

*) ამერიკის პრეზიდენტები, ინგლისის მეფეები და მთავრობა-მმართველი პარტიები, საფრანგეთის კოალიციური სამინისტროები თუ მთავრობის თავმჯდომარენი.

***) მაგალითად, სოციალ დემოკრატია გერმანიასა და ავსტრიაში შესცვალა ჯერ ჰინდენბურგმა და დოლფუსმა, მერე ჰიტლერმა და შუშინგმა; იტალიაში — გაბოლშევიკებული რეჟიმი შესცვალა მუსოლინის ზომიერმა დიქტატორამ, რომელმაც შეირიგა მეფეც და პაპიც და ცხრაჯერ შეიცვალა პარტნიორები და ორიენტაცია.



ხალხს, გააუქმა საუკუნოებრივი არაბული ადათი, ანბანი და სხვ.; თავისი ქვეყნის ინტერესით, ხან ელოლიავება საუკუნოებრივ მტერ — რუსეთს, ხან „აჯანყებულ“ ბალკანეთს, ხან „სამუსულმანოს მტერ“ — ინგლისს..

„ურყევი“ და უცვლელი რჩება მხოლოდ ჩვენი ყოფილი და დამარცხებული „მთავრობის“ იდეოლოგია, ორიენტაცია, „ბრძოლის“ მეთოდები და შემადგენლობა.

ეს კიდევ გასაგები იქნებოდა — დასაშვები თუ არა ერის ინტერესთა მიხედვით, მთავრობა და მისი პარტია რომ გამარჯვებული დარჩენილიყო და შეკვეცილი საქართველოს დამოუკიდებლობა მაინც შეენარჩუნებინა. ან, უკიდერეს შემთხვევაში, საზღვარგარედ გახიზნულს, რისათვისმე მიეღწია. მაგრამ, როცა მისი მარქსისტული იდეოლოგია უკიდურესმა მარქსიზმმა დაამარცხა, ორიენტაცია მეორე ინტერნაციონალზედ ფუჭი გამოდგა, „ბრძოლის“ მეთოდები ყალბი და შემადგენლობა სახელმწიფოებრივად და ეროვნულად სრულებით არა კვალიფიციური — მისმა პოლიტიკურმა ამორალობამ დასაყრდნობი იპოვა გარედან მხოლოდ შემთხვევითს მოვლენაში¹⁾ და შიგნით მხოლოდ პირადული ინტერესის და ინტრიგების გამომჟღავნებაში²⁾.

ამრიგად, ბ-ნ ნ. ჟორდანიას „მთავრობა“, რომელმაც დაჰკარგა რა საქართველო³⁾; დაჰკარგა არა მარტო პრესტიჟი, არამედ ყოველგვარი ზნეობრივი და იურიდიული უფლება სახელზედაც, არამც თუ ხელმძღვანელობაზედ, — კიდევ ერთხელ მოგვევლინა, ხელოვნურ გარემოებათა გამო, ქართული ეროვნული პოლიტიკის უზურპატორად, როგორც ეს მოხდა ხელოვნურადვე, საქართველოში⁴⁾. აი ეს ხელოვნურობა ჰქმნიდა და ჰქმნის იმ ყალბსა და ანორმალურ აზრს, რომ საქართველოს

1) მას „მხარს უჭერს“ ერთად ერთი მთავრობა, რომლის ქვეყანა გეოპოლიტიკურად ჩვენზე უარეს მდგომარეობაშია და ისტორიულადაც ნაკლები გამოცდილება აქვს.

2). ძალაუნებურად შეიქმნა ყველაზედ უზნეო დიქტატურა. არა გონებისა, რომელზედაც ი. ჭავჭავაძე სწერდა: „ვერავითარი არტილერია ვერ მოერევა“-ო. არა ძალისა, რადგან არავითარი რეალური ძალა არა აქვს, არამედ ყველაზედ მდაბალი ხარისხისა, ე. ი. ფულისა და ინტრიგისა.

3) გაჰყიდა და სოლომონ ბრძენივით შუაზედ გაუყო რუსებსა და ოსმალებს, მენშევიკური თერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ. და ფაქტიურად და იურიდიულად: ბ-ნი ჟორდანიას არის ამისი პასუხისმგებელი და ხელშეკრულობათა რიგით გაუქმებული თითონაც და საქართველოც.

4) სიმბოლიურია რომ იქაც და აქაც მასა მფარველობენ სლავიანები.



პოლიტიკა უნდა იყოს ერთი და მონოპოლიურად — ბ-ნ ჟორდანიას ხელში. მისთვის და მისი პარტიისათვის ეს ხელსაყრელია და ის რომ არას დაგიდევთ სხვა გზებსა და საშუალებათ, გასაგებია; მაგრამ გაუგებარია, რომ სხვა პოლიტიკური ძალები და მეტადრე პატრიოტები, სცდილობენ, ამ ცუდი მაგალითით წახალისებულნი და გარყვნილნი, ბ-ნ ჟორდანიასავით თავის კერძო მონოპოლიად გამოაცხადონ საქართველოს პოლიტიკაც და პატრიოტიზმიც. ისინი კი არ ეძებენ საქართველოს სახსნელ გზებს რეალურად არსებულ პოლიტიკურ ძალების მრავალფერობაში, არამედ, შეითვისეს რა, ყოვლად უნიჭო, უზნეო და საქართველოს დამლუპველი, ბ-ნი ჟორდანიას ლოზუნგი, რომ „პოლიტიკა არის მამაძაღლობა“, სცდილობენ ამაში აჯობონ ჟორდანიას და მონოპოლიურადვე მიისაკუთრონ როგორც პატრიოტიზმი, ისე არსებულ ფრონტში გაბატონდნენ. ეძებენ „ორიენტაციას“ არა საქართველოსათვის, არამედ ისეთ საქართველოსათვის, საცა ბ-ნ ჟორდანიასავით უნიჭოდ და ქვეყნისათვის საზარალოდ — იბატონებდნენ.

ეს გასაგებიც არის: სარდალი თუ ერთ ვაშლს მოჰგლეჯს, ჯარი— მთელ ბაღს ამოაგდებსო, ნათქვამია, და, როცა „მთავრობისა და მისი პარტიის“ წევრი უტიფრად და საჯაროდ აცხადებს: „საქართველო ან იქნება დემოკრატიული, ან იგი არ იქნებაო“, რა გასაკვირველია, რომ სხვანიც ამავე მარქსისტული მეთოდით აზროვნობდნენ.

მაგრამ ჩვენი შეხედულობით, საქართველოს პოლიტიკურ ემიგრაციას, (როგორც ჩვენს წინაპრებს და თვით საქართველოს ერსაც ალლოთი აქვს შეგნებული ეხლაც) არა აქვს ზნეობრივა უფლება საქართველოს ბედი საბოლოოდ დაუკავშიროს არც ერთ პარტიას, არც ერთ ორიენტაციას ან იდეოლოგიას, რადგან ასეთი მონოპოლიური აღებით რომელიმე გეზისა, საქართველოს შეუძლია მხოლოდ წააგოს, თუ მონოპოლისტის გეზი დარჩა წაგებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა პოლიტიკური მოღვაწე უნდა ანგარიშობდეს ასე: მე შეიძლება წავაგო, ან ჩემმა ხაზმა, ან ჩემმა ფალავანმა, მაგრამ საქართველო მაინც უნდა გადარჩეს.

მხოლოდ ასეთი მაღალი ზნეობის მსხვერპლ მოტანაა ის პოლიტიკა, რომელსაც შეუძლიან საქართველოს განთავისუფლებაც და შენახვაც.

რადგან არა მარტო იდეაშია პოლიტიკა უმაღლესი ზნეობრივი, პასუხსაგები კათეგორია, არამედ პრაქტიკაცა გვექონდა ამისი და საქართველო გადარჩა და აღსდგა (1914—1921 წ.) მარტო იმით, რომ დამოუკიდებლობამდე საქართველოში იყო ორი მოწინააღმდეგე მიმართულება — იდეოლოგიურად, ბრძოლის მეთოდებით, ორიენტაციით და სხ.

— პატრიოტულ - ეროვნული და მენშევიკურ - ანტიეროვნული. და დაიღუპა 1921 წ. სწორედ პოლიტიკის მონოპოლიით, ყველაზედ ნაკლებად შესაფერი ხალხის ხელში.

რ. გაბაშვილი

სომხური საკითხი და კავკასია

რუსულ ჟურნალ „კავკაზ“-ში, № 7—55, დაიბეჭდა ფრიად საყურადღებო წერილი ბ-ნ ა. კანტემირისა: „სომხური საკითხი და კავკასია“, რომელიც ეხება კავკასიის კონფედერაციის ერთ-ერთ მწვავე მხარეს და ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ ქართველ საზოგადოებას, ცნობილი მთიელისა და კავკასიელ მოღვაწის შეხედულებათა მთავარი შენაარსი:

კავკასიის პრობლემის ყველაზედ მძიმე ნაწილი არის სომხების საკითხი, რომელსაც აქვს ცოტა სხვანაირი ისტორია და მისწრაფება — შეჰქმნას სახელმწიფო, არა მარტო კავკასიაში, არამედ იმ მიწებზედაც, რომელიც კავკასიის გარეშეა.

ასეთი სადაო და საწინააღმდეგო ფორმით სხვა არც ერთი კავკასიელი ერი არ გამოდის ქვეყნიერების წინაშე, თავისი ეროვნული უფლების დასაცავად. აქედანაა ის ორმაგობა და გაურკვეველობა, რომელიცა სუფევს სომეხთა პოლიტიკაში. აქედანვეა შთაბეჭდილება — თითქოს სომხების დროშაზედ ამოშლილია კავკასიური ფერები, რასაც ემოწმება მათი განზე დგომა სხვა კავკასიურ ორგანიზაციებისაგან. ესეთი დუალიზმი ვერაფრით ეხმარება სომეხებს და მძიმე ლოდით აწევს დანარჩენ კავკასიელთაც.

სომხური საკითხი, მიუხედავად ამისა, როგორც ნაწილი მთელისა, მწვავედ ეხება მთელ კავკასიას.

ხშირად ადვილია მიზეზის გამორკვევა ამა თუ იმ დამღუპველ მოვლენისა და გაცილებით უფრო ძნელია მისი მომსპობი გადაწყვეტილების მიღება. სომეხ ხალხის ტანჯვა ასეთი რიგის ფაქტია და ვერავითარი სასწაული ან გარეშე მოვლენა, რაც უნდა ხელსაყრელად მოსჩანდეს, ამ უბედურებას ვერ უშველის, თუ სომეხი ერის ხელმძღვანელნი ვერ იპოვიან საკმაო ნებისყოფას, გამოძებნონ მკაფიო, გარკვეული და გონიერი პოზიცია გარეშემორტყმულ ქვეყნიერებასთან.

სომხის ერის ძველი ისტორია, როდესაც სცხოვრობდა სახელმწიფო-

ებრივად და მერე აღმოჩნდა გაყოფილი სამი იმპერიის შუა — ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ ასეთი არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მათთვის, გაგრძელდა დიდ ომამდის. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სომხები, რომელთაც სამივე იმპერიაში ჰყავდათ საკმაოდ ძლიერი ბურჟუაზია და მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია, ყველა სხვა ერებზედ მომზადებულნი შეხვდნენ ამ ომს.

სარაევოს ამბავამდე გაცილებით ადრე, სომეხთა გრძნობებსა და მიმართებათ დაეპატრონა პარტია „დაშნაკცუტიუნ“, რომელიც, როგორც სახელმწიფო სახელმწიფოებში, განაგებდა თავისი ერის ბედს. მასა ჰქონდა აურაცხელი მატერიალური საშუალება და სულიერი ცენტრი — ეჩმიაძინი, რომელიც იზიდავს ყველა სომეხს.

პარტიას ჰქონდა ყველაფერი და თითქო მოვლენებიც, რომელთაც ძირამდის შეარყიეს არსებული მდგომარეობა, უქადდა გამარჯვებას.

სომხების დამარცხებაში ბრალი არ უდევს არც პროპაგანდის უქონლობას — იგი სწარმოებდა მთელ ხმელეთზედ; არც საერთაშორისო კონიუნქტურას, რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო; არც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება აკლდა მრავალტანჯულ სომხის ერსა. სადაა მაშ მიზეზი, რომელიც პესიმიზმით ავსებს ყველას გულს და, უპირველეს ყოვლისა თვით სომხებისას?

რასაკვირველია, გეოგრაფიაში, სომხების გაფანტულობაში სამი იმპერიის სიფართოვეზე, რომელსაც სომხის ერის პოლიტიკის ხელმძღვანელთ არ უნდათ გაუწიონ ანგარიში.

ყველაზედ მკვირვად სომხები აღმოჩნდნენ რუსეთში, რომელმაც შეიერთა ისინი მრავალი ომის შემდეგ ირანსა და ოსმალეთთან.

ხალხი სცხოვრობდა და ვითარდებოდა სამ სახელმწიფოში, სამს სხვა და სხვა პირობაში, და ეს პირობები თავის დაღს ასვამდნენ, როდესაც მთლიანი სომხეთის ნაწილებს.

რუსის სომეხმა, სპარსეთის სომეხმა, და ოსმალეთის სომეხმა, გაყოფილთ დროით, მანძილით და, თუ გნებავთ, ცხოვრების წესით, დაჰკარგეს კავშირი და თითო მათგანი ცხოვრობდა თავისებურად. აღწევდნენ უმაღლეს ხარისხებსაც იმ სახელმწიფოებში, რომელიც ბედმა არგუნა.

გარეგნული მსგავსება პოლონეთთან, აგრეთვე რომ გამოსცადა სიმწარე გაყოფისა სამი იმპერიის შორის, არ ეფერება სომხის მაგალითს, რადგან 30 მილიონიანი პოლონეთის ერი შეადგენდა მკვირვ მასას სამს იმპერიაში და მცირერიცხოვანი სომხის ერი კი სცხოვრობდა მკვირვად მხოლოდ რუსეთში.

ამ გარემოებამ და რომ ეჩმიაძინი — სომეხთა სულიერი ცენტრი — იმყოფებოდა რუსეთში, ჩააგდეს სული და ნებისყოფა სომხის ხალხისა,



ანუ უკეთ, ხელმძღვანელ პარტიის, „დაშნაკცუტიუნისა“ — პეტერბურგის მთავრობის ხელში. უკანასკნელი არა კეთილსინდისიერად იყენებდა არა მარტო თავისი სომხების ლოიალურ გრძნობას, არამედ მეზობელ სახელმწიფოთა სომხებისასაც.

რუსეთის იმპერიალიზმის ვერაგმა გეგმამ აღძრა მოჩვენებითი იმედები „დიდი სომხეთისა“, რის გამო სომხების ძალები და საშუალებანი მიმართეს ოსმალეთის წინააღმდეგ, სრუტეებისა და კილიკიის დაპყრობის მიზნით, რაც პერსპექტივას უხსნიდა რუსეთს ხმელთა შუა ზღვაზედ ბატონობისას. ოღონდ, როცა რუსეთის იარაღის გამარჯვება იმდენად გამოიჩინა, რომ სომხებისათვის დაპირებული შეიძლება განხორციელდებოდა, მეფის მთავრობამ წამოაყენა ცინიკური ფორმულა: „სომხეთი — უსომხებოდ“.

საფიქრებელი იყო, ამ საშინელ მოტყუებას, სომხებისათვის უნდა ეკარნახა სულ სხვა განწყობილება რუსეთისადმი, ე. ი. მიებრუნებინათ იარაღი რუსეთის წინააღმდეგ; მით უფრო, რომ მალე ამისათვის გამოჩნდა არა ჩვეულებრივი შემთხვევა. რუსეთში აბობოქრდა რევოლუცია, რომელმაც გამოიწვია ბოლშევიკური ანარქია და ბრესტ-ლიტოვსკის ზავი. მაგრამ, სიყვარული ჯავრზედ ძლიერი აღმოჩნდა — რუსეთისადმი. ბრესტ-ლიტოვსკის ზავი არ იყო გამოყენებული, პირიქით, უარყოფილი იყო იარაღით ხელში დაშნაკელებისა და მენშევიკებისაგან. ესენი განაგებდნენ ამიერ კავკასიის ადგილობრივ სეიმს, რომელსაც ფორმალურად არა ჰქონდა უფლება საერთაშორისო აქტების მოხდენაზედ. სომხებმა და ქართველებმა, ხატისოვის, წერეთელის, ჟორდანიას და სხვათა პირით გამოსთქვეს აზრი ოსმალეთთან ომის გაგრძელებაზედ და მიზანი იყო ვითომ 1914 წლის საზღვრების დაცვა და სომხეთის ავტონომია „ოსმალეთის საზღვრებში“ — თეზა, რომელსაც იცავდნენ ტრაპიზონის კონფერენციაზედ.

სინამდვილეში ეს იყო კერენსკობის განმეორება, რუსეთის „დემოკრატიაზედ“ ორიენტაციით, დემოკრატიის, რომელიც, სხვათა შორის, ბუნებაში არ არსებულა.

ამიერ კავკასიის სეიმი დაირღვა. მის მაგივრად გაჩნდნენ: დამოუკიდებელი ადერბეიჯანი, სომხეთი, საქართველო.

ოსმალეთის მთავრობა თანაუგრძნობდა ახალ რესპუბლიკებს და შეაჩერა ჯარების მსვლელობა.

დადგა ხანა ბათუმის კონფერენციისა და გამოფხიზლებისა.

სომხებმა, სხვა კავკასიელებთან ერთად, „მეგობრობის ხელშეკრულობა“ დასდეს ოსმალეთთან, რაც ხატისოვმა საზეიმო დეკლარაციაშიც დაამოწმა, გაბედულად, სახელმწიფოებრივი ტაქტით და რეალურ მდგომარეობის გათვალისწინებით. სომხეთი აღსდგა, როგორც კავკასიური სახელმწიფო.



ამ დეკლარაციაში გამოთქმული დებულებანი, რომელიც აღნიშნულია სტამბოლის იმდროინდელ გაზეთში („ტესფირი ეფქიარ“, 29—6—1918 წ.), სამწუხაროდ ცარიელ სიტყვებად დარჩა, რომელთაც არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ „დაშნაკცუტიუნის“ შემდეგ პოლიტიკაზედ.

ცენტრალ ევროპის სახელმწიფოთა დამარცხებამ და მათთან ოსმალეთისაც, და საზავო ხელშეკრულობათ, საცა მოწვეულნი იყვნენ სომხების წარმომადგენელნიც (აგარონიანმა მოაწერა ხელი სევრის ხელშეკრულობას), კვლავ გაიტაცეს სომხური აზროვნება საოცნებო დიდი სომხეთისაკენ.

ენერგიულმა პროპაგანდამ, ერთის მხრით და ოტომანთა იმპერიის დაქცევამ, მეორე მხრით — შექმნეს, მსოფლიოს საქმეების გადამწყვეტთა გონებაში — სომხეთის პრობლემის გადასაწყვეტად, კარგი ნიადაგი. მაშინ ყველაფერი შესაძლებლად იყო მიჩნეული. ირღვეოდნენ ან ქუცმაცდებოდნენ სახელმწიფონი და სხ. იმათ მაგიერ იქმნებოდნენ ფანტასტიურები ... როგორც მაგალითად „პონტის რესპუბლიკა“ ტრაპიზონში, ვენიზელოსის გეგმით. დაიწყო „ჯვაროსნული“ ომი ოსმალეთის წინააღმდეგ, ლოიდ ჯორჯის ლოზუნგით: „თურქები უნდა განიდევნონ ევროპიდან“. მაგრამ თურქებს აღარც აზიაში რჩებოდათ ადგილი, რადგან ტიგრან დიდის ჩამომავალნი მოითხოვდნენ ოსმალეთის აღმოსავლეთის 7 ვილაიეთს და კილიკიას; ბერძნებს კიდევ დაქერილი ჰქონდათ დასავლეთი ანატოლია.

სადი აზრი ოსმალეთთან კეთილმეზობლობისა — რომელიც სიხლით იცლებოდა, გენიალ ათათურქის ხელმძღვანელობით, უთანასწორო ბრძოლაში მზის ქვეშე ადგილისათვის, — შეიცვალა თამაშით შორეულ ქვეყნებთან, რამაც მოიყვანა სომხეთში ღენ. ჰარბორდის მისია, რომელზედაც ეკიდა ამერიკის მანდატი დიდ სომხეთზედ. ეს წვეულება სამწუხაროდ გათავდა უკანასკნელისათვის.

ღენ. ჰარბორდის დასკვნა არ გაუთანასწორდა სომხურ პროპაგანდას. გამოირკვა, რომ ოსმალები შეადგენდნენ, განზრახულ სომხეთში, ჯერ კიდევ ძალათ მათ აყრამდე უდავო უმრავლესობას, თუნდაც მთელი გახიზნული სომხობა დაებრუნებინათ. გარდა ამისა, ამერიკელმა შენიშნა, რომ „სომხებმა არ იციან მეზობლებთან მორიგება“. მართლაც, ვერ მოურიგდნენ ოსმალებს, ვერ მოურიგდნენ ქართველებს, ვერ მოურიგდნენ ადერბეიჯანელებს და ბოლოს გაუწოდეს ხელი ღენ. დენიკინს და მათი ჯარი ითვლებოდა „თეთრი ჯარის“ მეშვიდე დივიზიად.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შეურიგებლობა იყო მიზეზი რუსის ჯარის მეორედ შემოსვლისა კავკასიაში, ახლა უკვე წითელი არმიის სახით, რომელმაც ადვილად გადალახა დაცალკეებულნი კავკასიური რესპუბლიკები.

ეპილოგი ამ ამბებისა ცნობილია: 26 ენკენისტოვს 1921 წ. დაიღო



ყარსის ხელშეკრულება მოსკოვსა და ანკარას შუა, კავკასიის ერთ დაუსწრებლად, რომელნიც უკვე გათელილნი იყვნენ ბოლშევიკების მიერ.

შემდეგ, დაუსრულებელი ემიგრანტული წამება საზღვარგარედ და სასტიკი ტერორი სამშობლოში...

ა. კანტემირ

არტაანის ალება

ჩვენი ემიგრანტული პრესის ერთ ნაწილში, ბევრსა ჰყვირიან ჩვენს უფლებაზედ არტაანისა და სხვა მხარეებზედ, რომელიც დღეს გადასულია ოსმალეთზედ. მის სტრატეგიულ მნიშვნელობაზედაც საქართველოსათვის. თუმცა ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველო არსებობდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, უამმხარეებოდ და უარტაანოდაც.

ეტყობა, ამ საკითხის გაუშუქებლობა იწვევს გაუგებრობას და ზოგჯერ დემაგოგიურ ყვირილსა და უცენზურო ლანძღვასაც.

ამიტომ მე ვსთვლი საჭიროდ, გავიხსენოთ, თუ როგორ მოხვდა არტაანი (რომელიც ყველაზედ მეტ ალელეებას იწვევს) ჩვენს საზღვრებში ჩვენ დროს და როგორ დავკარგეთ იგი.

ყარსი, არტაანი და ბათუმი, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით, გადადიოდა ოსმალეთზე. საქართველომ და სომხეთმა არა სცნეს ამ ზავის ხელშეკრულება, მაგრამ ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციისა და შემდეგ მოლაპარაკებათა და ამბების გამო, საქართველო იძულებული იყო დაეთმო ოსმალეთისათვის, არა მარტო ბათუმი, არამედ ახალციხე და ახალქალაქიც.

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, შემდეგმა ამბებმა (ანტანტის გამარჯვებამ) შესცვალა ეს მდგომარეობა და ახალციხე და ახალქალაქი დაუბრუნდა საქართველოს, რომელმაც შეიყვანა შიგ თავისი ჯარი. რაც შეეხება სხვა ოლქებს, ისინი დაიჭირეს ინგლისელებმა. ეს მოხდა 1918 წელს.

ჩემს წერილში მე არ შევეხები დავას საზღვრებზედ სომხებთან, მხოლოდ გაკვრით ვიტყვი, რომ უკანასკნელნი გვედავებოდნენ ბორჩალოს მაზრის ნაწილს და ახალქალაქს. ჩვენი მოლაპარაკება მათთან გათავდა, როგორც ვიცით, საქართველო - სომხეთის ომით, რომელიც დაიწყო 8—12—1918 წ. და ანტანტის წარმომადგენელთა მოთხოვნით დამთავრდა ლამის 12 საათზე 31 დეკემბერს.

ყარს-არტაანის დაქერის შემდეგ ინგლისის საოკუპაციო ჯარით, ამ მხარეში გაჩნდა სახელმწიფო: „ტერიტორია სამხრეთ დასავლეთ კავკასიისა“, რომელიც შესდგებოდა არტაანისა და ყარსის ოლქებიდან.

შემდეგ, ჩემს მყოფობისას ახალციხეში, მე მქონდა ცნობები, რომ ამ სახელმწიფოს ფარგლებში უნდა შესულიყო ბათუმიც, რაზედაც „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობა აწარმოებდა მოლაპარაკებას აჭარელებთან. თვით სახელწოდებაც — „სამხრეთ-დასავლეთი კავკასია“ — იძლევა საბუთს ვიფიქროთ ასეთი პროექტის არსებობაზედ.

როგორც ეტყობა, ამ სახელმწიფოს შექმნას ხელს უწყობდნენ ინგლისელები, რაც ჩემთვის აშკარა გახდა ინგლისელ ოფიცრებთან ლაპარაკიდან, რომელნიც იმ დროს იყვნენ ხსენებულ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზედ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ინგლისი იმ დროს ხელს უწყობდა, ყოფილ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზედ, ცალკე სახელმწიფოთა დაარსებას (არაბეთი, პალესტინა, სირია და სხვ.), საფიქრებელია, რომ სწორედ ინგლისის სურვილით დაარსდა ეს სახელმწიფოც: „ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთ კავკასიისა“.

ეტყობა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობასა ჰქონდა პროექტი, ბათუმის გარდა ამ სახელმწიფოსათვის შეერთებინა ახალციხე და ახალქალაქიც.

ისარგებლა რა ადგილობრივი, უმთავრესად მაჰმადიანი მოსახლეობის უკმაყოფილებით ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ და ახალი სახელმწიფოს დახმარებით, სერვერ-ბეგ ფოცხოველმა მოაწყო აჯანყება ახალციხეში, რის გამო ჩვენმა მეციხოვნეებმა (გარნიზონები) და ადმინისტრაციამ დასტოვეს ახალციხე და ახალქალაქი და გადვიდნენ ბორჯომში. ჩვენი მოწინავენი დარჩნენ სლესის ციხის ხაზზე, რამდენიმე ვერსით ჩრდილოეთით აწყუროდან.

ეს მოხდა 1919 წლის თებერვალში.

უნდა აღვნიშნო, რომ ახალციხეში მე ჩამივარდა ხელში ოფიციალურ ბლანკები, რომელზედაც დაბეჭდილი იყო: „ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთის კავკასიისა. ახალციხის და არტაანის ოლქი.“

შემდეგ ქართველ - სომეხთა ომისა, სადაც მე მივიღე მონაწილეობა, როგორც მოხალისემ ღენ. მაზნიევის შტაბის უფროსად, ამ ომის გათავების შემდეგ მე განთავისუფლებული ვიყავი იანვარში 1919 წ.

ახალციხე - ახალქალაქიდგან ჩვენი ჯარების დახვევის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ მომმართა მე წინადადებით, წავსულვიყავი ბორჯომში ღენ. მაზნიევის შტაბის უფროსად.

როცა 26 ივნისს ახალი მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ჟორდანაა ადგენდა ახალ მთავრობას, მან შეადგინა ეს მთავრობა ძველი მთავრობის შემადგენლობიდან, მხოლოდ ჩემი გამოკლებით. მიუხედავად ამ გარემოებისა და იმ ფაქტისა, რომ ამ დროს სამსახურში იმყოფებოდნენ სხვა ღენერლები, მე არ უარყვე და დავსთანხმდი, მაგრამ პირობით, რომ ახალციხე-ახალქალაქში მთელი ძალა უფლება იქნებოდა მხედრობის ხელში და რომ თვით ღენერალ მაზნიევმა მსთხოვოს დეპეშით ამ თანამდებობაზე.



მთავრობის თავმჯდომარე ამაზედ დასთანხმდა. მეორე დღესვე მივიღე ღენ. მაზნიევისაგან დეპეშა და იმავე დღეს წავედი ბორჯომში. ერთი დღის შემდეგ ბორჯომში ჩემი ჩამოსვლისა თბილისიდან მიღებულ იქმნა დეპეშა, რომლის ძალით ღენ. მაზნიევი გაწვეული იყო თბილისში და მე კი ვინიშნებოდი ახალციხე-ახალქალაქის ჯარების სარდლად.

ახალციხის ოპერაციებზედ არ შევჩერდები, მხოლოდ აღნიშნავ: ოფიცრები, „წმ. გიორგის მხედარნიც“ კი, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ახალციხის დამარცხებაში, სცნობდნენ მდგომარეობის სერიოზულობას, აჯანყებულთა მრავალრიცხოვანობას, მათ ორგანიზაციისა და ომის წარმოების ცოდნასა და სხვ. მე დამჭირდა ანგარიშის გაწევა ამ მოხსენებათათვის და შესაფერად შემზადება ოპერაციისა. მარტის დასაწყისში გადავედი შეტევაზედ და პირველმა დაკვრამ ჩვენთვის მეტად კარგად ჩაიარა. აწყური ავიღეთ ერთი საათის შემდეგ და მეორე დღეს მე შევედი ახალციხეშია... ჯარებზე უწინაც კი. მაგრამ შემდეგში, მტრის წინააღმდეგობა გაძლიერდა თანდათან. მოწინააღმდეგე მაინც ვაიძულეთ, რამდენიმე დამარცხების შემდეგ გაეწმინდა ახალციხის მაზრა და ახალქალაქიც. მაგრამ მაინც რჩებოდნენ ახალციხის ჩვენი საზღვრების გასწვრივ და ძლიერდებოდნენ არტაანიდან მოსულ მაშველებით.

აუცილებელი იყო შეტევის გაგრძელება და სამხედრო მოქმედების გადატანა სამტრო სახელმწიფოს ფარგლებში. მაგრამ მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ ჩვენი შეტევის გაგრძელების წინააღმდეგ იყვნენ ინგლისელები.

ინგლისელი პოლკოვნიკი ახალქალაქში (გვარი აღარ მახსოვს), დაუჩინებით მოითხოვდა, რომ თანახმად საქართველოსა და სომხეთის მთავრობათა ხელშეკრულობისა, მე არა მაქვს უფლება შევიყვანო ახალქალაქში ორი ასეულის მეტი.

მე უპასუხე, რომ შევიყვან იმდენ ჯარს, რამდენსაც საჭიროდ ჩავთვლი, სამხედრო მდგომარეობის მიხედვით. ინგლისელი თავისას გაიძახოდა, მაგრამ, როცა მისმა ოფიცერმა ძლივს გამოასწრო ცხენით, რომ აჯანყებულთა ხელში არ ჩავარდნილიყო, თითონვე მთხოვდა დაბეჯითებით, რაც შეიძლება მალე შემეყვანა ჯარი ახალქალაქში¹).

რამოდენიმე ხნის შემდეგ, ინგლისელმა ოფიცერმა მომიტანა არტაანიდან „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობის წერილი, ნოტა თუ ულტიმატუმი. ეს დოკუმენტი იწყებოდა კურიოზულ ფრაზით: „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის სახელმწიფო და საქართველო ყოველთვის მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ“... წინადადებას იძლეოდნენ ზავის შესახებ და მოითხოვდნენ საქართველოს ჯარის გაყვანას მისი ტერიტორიიდან (ეს უკანასკნელი მოთხოვნილება გამოწვეული იყო იმით, რომ უკანასკნელ შეტაკებისას, ერთი ჩვენი ნაწილი, გადასცდა საზღვარს).

1) მოლაპარაკება სწარმოებდა თარჯიმან ოფიცერის, თავად ალიკ ორბელიანის საშუალებით.



ამ წერილთან, ინგლისელი ოფიცერი გადმოგვცემდა, რომ მათ ჯარებს მოუვიდა დიდი მაშველი, რამოდენიმე ზარბაზანი და ტყვიის მფრქვეველი და სხვ.

ჩვენი მოლაპარაკება სწარმოებდა თარჯიმანი თავ. მამუკა ორბელიანის საშუალებით. ორი საათის შემდეგ მე ჩავაბარე წერილობითი პასუხი და მისივე თარგმანი ინგლისურად. მე უპასუხებდი, რომ ზავის შეკვრა ჩემს უფლებაში არ შედის და ამ სურვილს „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიისას„ გადავცემ თბილისში ჩემს მთავრობას“. რაც შეეხება დანარჩენს, მე მოვითხოვდი ჩემის მხრით, დაუყონებლივ მათი ჯარის წაყვანას არტაანში და აჯანყებულთა მეთაურობის გადმოცემას და, თუ 48 საათის განმავლობაში არ მივიღებ დაკმაყოფილებას, მივიღებ ზომებს, რომელსაც საჭიროდ დავინახავ მდგომარეობისა და მიხედვით.

ინგლისელს არ მოეწონა ჩემი პასუხი და შემდეგ ლაპარაკში ასეთი ფრაზა იხმარა: „თქვენ არა ფიქრობთ, რომ თავდასხმა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ სახელმწიფოზედ, რომელიც ინგლისის მფარველობაშია, არის ხელის შებრუნება ინგლისისათვის“ო.

მე მაშინვე უპასუხე, რომ ასე არა ვფიქრობ, რადგან მაშინ, თვე ნახევარის წინ რომ „სამხრეთ-დასავლეთის სახელმწიფო“ დაგვესხა თავს ახალციხესა და ახალქალაქში — ეს იქნებოდა ინგლისის თავდასხმა ჩვენზედ. ჩვენი ლაპარაკი ამაზედ შესწყდა და მან წაუღო ჩემი წერილი „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობას.

დანიშნული ვადის შემდეგ ჩვენი ჯარიბი გადავიდნენ შეტევაზედ. ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველნი ჩავვივარდა ხელთ და თითონ მოწინააღმდეგე, რომელსაც უკვე გაეკეთებინა თხრილებიც, გადაგდებულნი იყო ხანიორის უღელტეხილის იქით.

ამრიგად ჩვენ ვიყავით სამტრო სახელმწიფოს მიწა-წყალზე და საჭირო იყო გადაწყვეტა — წავიდეთ წინ, არტაანზედ, თუ არა. აი სად დაგვეწყო ხათაბალა.

ინგლისელებს გარკვევით არა სურდათ ჩვენი გადასვლა შეტევაზედ, მაგრამ თავის რჩევანი და პროტესტები გადაიტანეს ახალციხიდან თბილისში.

მე ვითხოვდი შეტევას არტაანზედ: საჭირო იყო მოთავება „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიის“ საქმისა და შეუძლებელიც იყო სამუდამოდ დარჩენა საკუთარ საზღვარზედ ომისათვის გაწყობილ ჯარებისა.

თბილისი, ჩემდა გასაკვირვებლად, ეთანხმებოდა ინგლისელებს.

მაშინ მე გავეცი ბრძანება შეტევაზე გადასვლისა არტაანზედ. ხანიორის უღელტეხილით უნდა შეეტია ღენ. ართმელაძეს და ახალქალაქის მხრით, ზურზუნით ღენ. თავად სუმბათაშვილს.

მაგრამ აღმოჩნდა მოულოდნელი დაპრკოლება ღენ. ართმელაძის ჯარში: იგი მაცნობებდა, რომ ჯარში გავრცელდა პროვოკაცია, რომ

სამხედრო მინისტრი და საერთოდ მთავრობა ეუბნებოდა მხოლოდ საკუთარი ტერიტორიის გაწმენდას, ეს გაკეთებულია; და არტაანზედ ლაშქრობა სურთ მხოლოდ ლენერლებს, მაშინ როდესაც მთავრობას ეს არ უნდა.

მე ვაცნობე ეს თბილისს და ვსთხოვე სამხედრო მინისტრს, ნოე რამიშვილს, ჩამოსულიყო ახალციხეს და დასწრებოდა ჯარის გამგზავრებას, რომ ამით გაფანტულიყო სიყალბე გავრცელებული პროვოკაციისა ლენერლების წინააღმდეგ.

ამ მოწვევაზედ მომივიდა უარი და შემდეგ კატეგორიული ბრძანება — არ წავსულიყავი არტაანზედ, არამედ „გავმაგრებულიყავ დაკავებულ პოზიციებზედ“.

ძნელი მისახვედრი არ არის, თუ როგორ მდგომარეობაში ჩაგვყენეს ჩვენ, ლენერლები, ჯარისკაცთა წინაშე.

მაშინ მე მივეცი ბრძანება დაუყონებლივ შეტევისა, თანახმად წინად მიღებული დირექტივებისა. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ჩემთან ლენ. ართმელაძის დივიზიის შტაბის უფროსი პოლკ. გეგელაშვილი და გადმომცა, რომ ჯარისკაცებს არა სურთ არტაანზე წასვლა და ამის შესახებ გზავნიან თავის დელეგატებს, ხანიორის უღელტეხილზე მომუშავეებს თოვლის გაწმენდას უშლიან. მე წერილობით დავადასტურე ჩემი ბრძანება დაუყონებლივ შეტევაზე. სიტყვიერად კი დავსძინე, რომ გალაშქრების საათს ვიქნები იქ, და იქვე გამოჩნდება რა ზომებს მივმართავ.

მართლაც, მეორე დღეს ერთი ბატალიონი უოფიცრობოდ წამოვიდა უკან, მაგრამ მოვახერხეთ მათი მობრუნება და გალაშქრება არტაანზედ დანარჩენ პოლკებთან ერთად. აქ მინდა ხაზი გაუსვა ქართველების ერთ დამახასიათებელ თვისებას; არტაანში შესვლისას მე ვკითხე ლენ. ართმელაძეს, შეეკითხა თუ არა ის ამ ბატალიონის ჯარისკაცებს რად დაბრუნდნენ და რა პასუხი მიიღო. მან ღიმილით მიაშობ მათი პასუხი: „იქ დაგვხვდა ლენერალი კვინიტაძე და ხათრი არ გაუტეხეთ“.

როგორც ხედავთ, უფროსსაც პატივი სცეს და თავის თავიც დააკმაყოფილეს.

20 აპრილს 1919 წ. პატარა წინააღმდეგობის შემდეგ, არტაანი აღებული იყო ჩვენი ჯარების მიერ.

უნდა აქვე აღვნიშნო, რომ იმავე დროს ინგლისელებმა ჩამოიყვანეს ყარსში თბილისიდან ერთი ეშელონი თავისი ჯარისა, დაატუსაღეს იქ მყოფი წევრები „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობისა.

ამ სახელმწიფოს არსებობა დასრულდა.

ჩვენი ჯარი განაგრძობდა წინმსვლელობას და დაიჭირა არტაანის მთელი ოლქი მერდენეკამდე, საცა ჩვენი მზვერავები შეხვდნენ ინგლისელთა ნაწილებს და მათმა უფროსებმა წინადადება მისცეს უკან დაბრუნებულიყვნენ.



აქ მოყვანილ ცნობებიდან, დასკვნები თავისით გამომდინარეობს: რომ ინგლისელებს განზრახვა ჰქონდათ შეექმნათ, როგორც სხვა ადგილებშიაც ყოფილ ოტომანთა იმპერიისა, ცალკე სახელმწიფო, რითაც გასაგებია, სუსტდებოდა ოსმალეთი, ე. ი. ინგლისელები აწარმოებდნენ მაშინ ოსმალეთის საწინააღმდეგო პოლიტიკას.

რომ საკითხი „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის სახელმწიფოს შექმნისა შესწავლის ხანაში იყო და არა საბოლოოდ შექმნისაში.

რომ ინგლისელებმა, დარწმუნდნენ რა ამ პროექტის არა რეალობაში, — რადგან ამ ოლქებს არ შეეძლოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა — თითონ მოსპეს იგი.

რომ ჩვენ მაშინდელ მთავრობას არ ესმოდა ნამდვილი მდგომარეობის ვითარება, და უარი სთქვა არტაანის მფლობელობაზედ, როდესაც, როგორც გვაჩვენებს ამბებმა, ეს სრულებით ადვილი იყო.

ამის გარდა, ცნობილია, რომ ჩვენი მთავრობის მოლაპარაკება თბილისში ინგლისელებთან და სომხებთან გათავდა უფრო სამწუხაროდ: არტაანის ოლქის სამხრეთი ნახევარი ჩვენ დაუთმეთ სომხებს, რომელთაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ჩვენს ბრძოლაში „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ წინააღმდეგ. ამრიგად, სომხები აღმოჩნდნენ უფრო წინდახედულნი და მოხერხებულნი ჩვენს ბელადებზედ.

აქვე დასამატებელია, რომ არტაანის ოლქის სამხრეთი ნაწილი უფრო მდიდარი და ნაყოფიერი ნაწილია მისი.

რაც შეეხება თითონ ქალაქ არტაანს, იქ ჩვენ მივიღეთ მარტო ყაზარმები, მტკვრის მარცხენა ნაპირზედ. და შეიქმნა იშვიათი სურათი: ჩვენ ჯართან კავშირი არტაანის ყაზარმებში ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ხანიორის უღელტეხილით, რომელიც ნახევარ წელიწადს ჩაკეტილია თოვლით, და ცუდი საურმე გზით და, თუ გვინდოდა ჩვენი ახალქალაქიდან მისვლა არტაანში, უნდა გვეთხოვა ნებართვა სომხებისათვის, რომ გვესარგებლნა მშვენიერი გზატკეცილით ახალქალაქ-არტაანს შორის.

როგორც ხედათ, არტაანი, 1918 წ. დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, ჩვენ არ გვეკუთვნოდა. ჩვენს ტერიტორიაში მოექცა მარტო 1919 წ. და მარტო თავისი ჩრდილო ნახევრით და თვით ქ. არტაანის გამოკლებით.

ზედმეტი არაა დაუმატოთ ის ფაქტი, რომ ჩვენმა მთავრობამ 1918—1921 წლის პერიოდში, ორჯელ გადასცა ოსმალეთს არტაანი (1918-ს და 1921 წ.) და 1919-ში კი არ გამოიყენა ჩვენთვის ხელსაყრელი პირობანი, ამ ოლქის შემოსაერთებლად და როდესაც, მისი სურვილის წინააღმდეგ, ჯარებმა ძალით შემოუერთეს იგი საქართველოს, მთავრობამ გადასცა მისი საუკეთესო ნახევარი, ქ. არტაანით — სომხეთს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ამ ოლქთან, არც ისტორიულად, არც პოლიტიკურად, არც მოსახლეობის პრინციპით.

ასეთი გაუთვალისწინებლობით 1919 წ. შექმნილია პრეცედენტი პოლიტიკურ პრეტენზიებისათვის სომხებისაგან ქალაქ არტაანზე და ოლქის სამხრეთ ნაწილზედ, თუ, ოდესმე, არტაანის ოლქი, ამა თუ იმ გარემოებათა გამო, საქართველოს საზღვრებში მოექცევა.

მაშ, რას გაჰკვივიან ე. წ. პოლიტიკური მოღვაწენი და ბელადები და აბრალებენ მოღალატეობასაც (?) კი ჟურნალ „კავკაზის“ თანამშრომლებს?

როგორც ხედავს მკითხველი, მთელი ამ უნიადაგო და მხოლოდ დემაგოგიური ყვირილისათვის, ჩვენ „პოლიტიკურ“ მოღვაწეებს — მისამართი შეშლიათ.

როგორც თვითონ ჩვენი ყოფილი მთავრობაცა სცნობს, 1921 წ. მან გადასცა ოსმალეთს არტაანი და ართვინი (საბუთი 1921 წლის 27 მარტის თარიღით, გამოქვეყნებული ჟურ. „კავკაზ“ის მიერ) და რაც შეეხება ბათუმს, — თანახმად „ისტორიისა ანკარას ეროვნული ყრილობის“ ამონაწერისა, რომელიც გამოქვეყნდა აგრეთვე ჟურნალ „კავკაზ“ში — ბათუმი გადაცემული იყო ოსმალეთზედ 1921 წელს, ანკარაში ჩვენი მთავრობის წარმომადგენელ ს. მდივნის მიერ.

ეს დათმობა მტკიცდება იმითაც, რომ ოსმალეთის ჯარმა დაიჭირა ბათუმი და ხულო ჩვენი მთავრობის ნებართვით და ისე, რომ მთავარსარდალს ქართული ჯარისას ეს არც კი აცნობეს. ეს უკანასკნელი შეცდომა (გადაცემა ბათუმისა ოსმალეთზედ), გამოასწორა ისევ ქართულმა ჯარმა, რომელმაც 18 და 19 მარტის ბრძოლებით 1921 წელს დააბრუნა ბათუმი საქართველოს საზღვრებში.

ორჯელ, (არტაანი და ბათუმი) ქართველ ჯარს აღმოაჩნდა მეტი სახელმწიფოებრივი ალლო, ვიდრე ჩვენს პოლიტიკურ ბელადებს.

რაც შეეხება ჩვენი „პოლიტიკოსების“ პრეტენზიებს საქართველოს წინად კუთვნილ მიწებზედ, ყველასათვის აშკარაა, როგორი არა რეალური და სასაცილოც არის მათი მოთხოვნა ოსმალეთისაგან, და მეტადრე დღევანდელ გარემოებაში. (

ყარსის ხელშეკრულობის შესახებ, რომელსაც ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი ეძახიან „ბოლშევიკურს“, უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ არა ვცნობთ მას, ჩვენ უნდა ვცნოთ მაშინ „მენშევიკური“ ხელშეკრულობანი ოსმალეთთან, ე. ი. ხელი ავიღოთ ბათუმზედ, რომელიც ჩვენმა ყოფილმა მთავრობამ დაუთმო ოსმალეთს 1921 წ. მაშინ როდესაც „ბოლშევიკურმა“ ყარსის ხელშეკრულობამ იმავე 1921 წელს შეასწორა „მენშევიკური“ ხელშეკრულობა ჩვენს სასარგებლოდ და დაგვიბრუნა ბათუმი, ისე აუცილებელი საქართველოსა და მთელი კავკასიისათვის. არის კიდევ ერთი მეთოდი — არ ცნობა არავითარი ხელშეკრულობისა, მაგრამ ეს არის ბოლშევიკური წესი და ჩვენთვის მიუღებელი. საზოგადოდ კი პატარა სახელმწიფონი მეტად ფრთხილად უნდა იყვნენ ხელშეკრულობათა დარღვევაში, რომ საბუთი არ



ადლიონ უფრო ძლიერ სახელმწიფოთ პრეცედენტებისათვის ხელშეკრულობათა დარღვევაში.

და სულ ახლო წარსულში — 1918 წ. — ჩვენ კინალამ დავკარგეთ ახალციხე და ახალქალაქი და მარტო ბედის ვარსკვლავმა (ანტანტის გამარჯვებამ) დააბრუნა ეს მხარეები საქართველოს წიაღში.

გ. კვინიტაძე

† ეკატერინე გაბაშვილი

1 8 5 1 — 1 9 3 8

საქართველოს კომუნისტური პრესიდგან გავიგეთ, რომ 7 აგვისტოს 1938 წ. სოფელ ახალქალაქში გარდაიცვალა ძველი თაობის ერთი უხუცესი მწერალი ეკატერინე რევაზ თარხნიშვილის ასული გაბაშვილისა.

ჟურნალ „კავკაზ“ — „კავკასია“-ს რედაქცია უცხადებს ღრმა თანაგრძნობას თავის თანამშრომელს ბ-ნ რევაზ გაბაშვილს ძვირფასი დედისა და გამოჩენილი ქართველი ქალის გარდაცვალების გამო.

რედ.

ეკატერინე გაბაშვილი დაიბადა 1851 წლის 16 თიბათვეს (ძველი სტილით) ქალაქ გორში, სადაც სცხოვრობდნენ მისი მშობლები: მამა რევაზ თარხნიშვილი, რომელიც მსახურობდა სახალხო სამსჯავროში და დედა სოფიო ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული.

ეკატერინე გაბაშვილის მამა, რევაზ თარხნიშვილი, ყოფილა თავის დროისათვის განვითარებული ადამიანი; თვით მწერლის მოწმობით: „მეთვრამეტე საუკუნის მწერალთა შედეგებზე აღზრდილი, ნაკითხი და თავისუფალი მოაზროვნე“.

დედა მწერლისა, სოფიო ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული, ცნობილი იყო ახოვანობით, მხიარული ხასიათით, სიმღერითა და ცეკვით. ეკატერინე გაბაშვილის მოწმობით, ის თურმე იყო „გასაკვირველი მოჯირითე და შეუდარებელი მსროლელი“. დედის ხსენებული თვისებების შესახებ მწერალი შემდეგსა სწერს: „პაპაჩემი ვახტანგი, რომელსაც ვაჟიშვილი არა ჰყავდა, თავის პირმშო ქალს ვაჟურ სიმხნევეს ასწავლიდა მემკვიდრეობის დასაცავად. მემკვიდრეობა, რომელიც დედა ჩემზე გადმოვიდა, არ იყო ძლიერ დიდი, მაგრამ საკმაოდ კარგი მამული ზემო ქართლში, სურამის რაიონში, სადაც ზაფხულობით ვცხოვრობდით და სადაც გავიცანი და შევისწავლე სოფლის ცხოვრება, გლეხთა ავი და



კარგი და რომელთა შესწავლა და დაკვირვება, შემდეგ, მასალად გამო-
მადგა, ჩემ მოთხოვრებათა შინაარსისათვის — „გაბედნიერება“, „რომანი
დიდხევაში“, „კონა“, „ორენა და ქუჩე“ და სხვა.

მწერალი, თავის სოციალური წარმოშობით, შეძლებულ, განათ-
ლებულ თავად-აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა. პირველ დაწყებითი განა-
თლება მიიღო თბილისის გერმანელთა სკოლაში. შემდეგ, მამამ მიაბა-
რა ცნობილ ფრანგი ქალის ფაბრის პანსიონში. ფაბრის პანსიონი დი-
დად განირჩეოდა მაშინდელი კარჩაკეტილი სახელმწიფო ქალთა ინსტი-
ტუტისაგან, თავისი ლიბერალური მიმართულებით.

ფაბრის პანსიონში, სხვა საგანთა შორის, ასწავლიდნენ ქართულ
ენას, რომელსაც სახელმწიფო სკოლებში გაბატონებულ ტრადიციის
წინააღმდეგ, აქ პატივსა სცემდნენ. ამიტომ, ქართული ენის მასწავლე-



ბლად ფაბრის პანსიონში მოწვეულნი იყვნენ იმ დროის საუკეთესო ქართველი პედაგოგები: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო დედაბრიშვილი, ნიკო ინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი.

ეკ. გაბაშვილმა ფაბრის პანსიონში სწავლა დაამთავრა 1868 წელს. ამავე წელს საცხოვრებლად გადასახლდა თავის სამშობლო გორში. იქ ერთხანს მასწავლებლობდა გორის ერთ-ერთ სკოლაში. 1872 წელს ეკატერინე მისთხოვდა ალექსანდრე გაბაშვილს. როგორც მეოჯახე ეკ. გაბაშვილი იყო თერთმეტი შვილის დედა და ურიცხვი შვილისშვილების ბებია.

ეკატერინე გაბაშვილი იყო თანამედროვე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის. ქართველი ერის სახელოვან მწერალთა შორის, ეკატერინე გაბაშვილს ეჭირა საპატიო ადგილი. ეს ადგილი მან მოიპოვა თავისი ნიჭითა და შემოქმედებით. ქართული მწერლობის ასპარეზზე ეკატერინე გაბაშვილი 1870-ანი წლების დასაწყისშივე გამოდის.

იშვიათად თუ მოიპოვება ქართველი, რომელსაც არ წაეკითხოს ეკ. გაბაშვილის ნაწარმოები. მისი საბავშვო ლიტერატურის შედეგრებად ითვლება „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია გადაიჩეხა“. განსვენებული მრავლად სწერდა საყმაწვილო მოთხრობებს. ის საყმაწვილო ჟურნალების „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ მახლობელ თანამშრომლად ითვლებოდა.

ეკატერინე გაბაშვილის ლიტერატურაში მახვილად და ნიჭიერად ასახულია ქართველი გლეხის ცხოვრების ის პერიოდი, როცა ქართველი ერის უმრავლესობა — გლეხკაცობა, დაჩაგრულ მდგომარეობაში იყო. მწერლის ტკივილებს შეადგენდა სოფელი, გლეხკაცი, მისი ცხოვრების ჩამორჩენილობა და მის მომავალზე ზრუნვა. ეს საკითხები მას მოცემული აქვს თავის პირველ ნაწარმოებში — „გლეხკაცის აზრი სოფლის სკოლაზე“ და სხვ. მას აღელვებდა ქართველი გლეხის ბედ-იღბალი, მაგრამ მათ დაცვაში ის არ მოუწოდებდა კლასთა ბრძოლისაკენ. თავად-აზნაურობის დაკნინება ეკ. გაბაშვილმა გამოხატა ისეთ მოთხრობებში, როგორიცაა: „ერთი მრავალთაგანის ამბავი“, „ბენუარი“, „ქალების პორტრეტები“ და სხვ.

ეკატერინე გაბაშვილი იბრძვის ქალის განთავისუფლებისათვის. მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალთა უმწეო მდგომარეობას. მრავალ მის ნაწერებში, მაგ., „კონა“, „დიდ ხევა“, მოცემულია ქალთა ცხოვრების ტრაგიზმი, რაც შედეგი იყო უვიცობისა, ძველ დრომოქმულ ზნე-ჩვეულებისა და საზოგადოდ იმდროინდელი დუხჭირი პირობებისა. ქალთა საკითხში ეკ. გაბაშვილი ემანსიპაციისათვის იბრძოდა.

ეკატერინე გაბაშვილი 60 წლის განმავლობაში ერთგულად მუშაობდა მხატვრული პროზის დარგში. მას დაწერილი აქვს მრავალი მოთხრობა, სურათი, რომანი. 1910 წ. ქართველთა შორის წერა-კითხვის

გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა მისი თხზულების ერთტომეული, რომელშიაც მოთავსებულია 46 ნაწარმოები. 1936 წელს საქართველოს სახელგამმა გამოსცა მისივე მოთხრობათა ორი ტომი.

ი. გვარამაძე

პოლემიკა და მისი წესები

ჟურნალისტიკა ადამიანის შემოქმედების ერთ ერთი დიდი მიღწევათაგანია. მისი გავლენა აზროვნებაზედ, კაცობრიობის წინმსვლელობაზედ, დიდია. მისი განვითარება, მისი მორალური სიფაქიზე და მისი ღირსება ერთგვარი საზომი არის თანამედროვე ადამიანის ზნეობრივი სიმაღლისა და სულიერი სიფაქიზის. რამდენადაც ერი კულტურული არის, იმდენად მისი პრესა მიუდგომელია და რამდენად ბეჭდვითი სიტყვა თავის მეცნიერულ კანონმდებლობას ემორჩილება, იმდენად ის გამომხატველია თავისი ქვეყნის სულიერი სიმდიდრისა და მისი ინტერესების მორჩილი მოსამსახურეა. ეს დარგი ადამიანის შემოქმედებისა მეტად სათუთი და საშიში იარაღია; თუ მის ტაძარში სპეტაკი და ღირსეული ქურუმნი არა მსახურებენ, ის ეროვნულ და სოციალურ საფრთხედ იქცევა. თუ კაცობრიობის რჩეული შვილები ჟურნალიზმს მიეგებნენ, როგორც კულტურული პროგრესის დიდ იარაღს, სამწუხაროდ, მისი მნიშვნელობა სულიერად ბინძურთ, კანონის გარეშე მდგომთ და ბუნებრივად ბოროტ პირთაც არ გამოჰპარვიათ.

პრესის ნაწილი, საზოგადოების, თუნდაც მცირე, მაგრამ კრიმინალურ ფრაქციის ხელში მეტად მავნე და მეტად საზიანო მოვლენად გადაიქცა. ეს ისეთ სინამდვილედ გახდა, რომ თვით დემოკრატიულ, ე. ი. პრესის თავისუფლების ქვეყნებში, საკანონმდებლო ორგანოები იძულებულნი არიან, ადამიანის ეს დიადი გამოგონება და ადამიანის პიროვნება, საკანონმდებლო რეპრესიული ზომებით დაიცვან. დემოკრატიულმა საფრანგეთმა ნახევარი საუკუნეზედ წინ დაინახა პრესის ეს უარყოფითი მხარე და თავისი სისხლის სამართლის კოდექსში სათანადო მუხლები შეიტანა (1881 წ.), მხოლოდ დემოკრატიულთა შორის უდემოკრატიულესმა, 1936 წლის სახალხო ფრონტის მთავრობამ 1881 წ. კანონი მეტად ლიბერალურადა სცნო და მისი რეპრესიული ხასიათის გაძლიერების პროექტი შეიტანა პარლამენტში.

ასე მაგალითად, ამ პროექტს თავი რომ დავანებოთ და მხოლოდ არსებული კანონმდებლობით დავკმაყოფილდეთ, მკვლელობისაკენ მოწოდება ციხით ისჯება. აგრეთვე ციხითა და ჯარიმით ისჯებიან ცილისწამება, ცრუ ხმების გავრცელება და სხვა. რაც შეეხება პორნოგრა-



ფიას, ქართულ ემიგრაციაში ბრიუსელელ სამურაის მიერ შემოტანილს. ეს „სუფთა“ სისხლის დანაშაულად არის მიჩნეული და პრესის დანაშაულთა ნაწილში (დელი დე ლა პრესს) არ შედის. ეს სოციალური ხასიათის ზომები, რასაკვირველია, ზედმეტი იქნებოდა, რომ პრესის წმინდა ქურუმთა შორის ცრუ ქურუმნიც არ გარეულიყვნენ, რადგან ჟურნალიზმის მეცნიერული და ბუნებრივი კანონმდებლობა სავსებით საკმარისია. ჟურნალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელსაც პოლემიკა ეწოდება, ყველაზედ იმპერატიულად მოითხოვს ამ მეცნიერულ წესების დაცვას. ძნელად ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე დიდ პოლემისტს ამ ნორმათა გარეშე ეწეროს.

საზოგადოდ ჟურნალიზმი სცნობს პოლემიკის ორ წესს, იცნობს კი — სამს.

პირველი წესი მდგომარეობს შემდეგში: პოლემისტი ასაბუთებს თავის თეზას, მთელი მისი მეთოდოლოგიური აზროვნება არის მიმართული მის მიერ წამოყენებული თეზისის განსამტკიცებლად. მთელი მისი არგუმენტაცია არის გამოყენებული მისი მეცნიერული ჯებირის გასამაგრებლად, მისი აზრის ჭეშმარიტების დემონსტრაციისათვის, ის არ ივიწყებს მისი პოზიციის საწინააღმდეგო საბუთებს, მიუდგომლად აღნუსხავს ამ საბუთთა ძალას და მათ პასუხს აძლევს. ასე რომ ის საპოლემიკოდ თითქმის არაფერსა სტოვებს. ეს არის დადებითი პოლემიკა, ე.ი. ორ აზრთა ერთი მეორის დაპირისპირება, აწონ-დაწონვა და თავის თავთან ბჭობა დარბაზობის შემდეგ, ჭეშმარიტი აზრის უპირატესობის აღმოჩენა.

მეორე წესი შემდეგი არის: პოლემისტი წამოყენებულ დებულებას აკრიტიკებს, აღნიშნავს მის უარყოფით მხარეებს, დიდის ხნით ჩერდება დებულების სუსტ მხარეზედ, ცდილობს არამც თუ მოწინააღმდეგის აზრის დასაბუთებულ უარყოფას არამედ მისი (ესე იგი აზრის) „გამასხარავებასაც“. დებულების დადებით მხარეს სრულიად შეგნებულად გვერდს უხვევს, და რაც მთავარია, წამოყენებულ დებულებას არ უპირისპირებს თავისას. ის მხოლოდ კრიტიკით კმაყოფილდება. ასე, მაგალითად, კაცმა მონარქია აკრიტიკო და მას სხვა რეჟიმი, თუნდაც რესპუბლიკანური არ დაუპირდაპირო. ამ წესს პოლემიკისას ეწოდება უარყოფითი პოლემიკა.

ასეთი არის მოკლედ ორი წესი მეცნიერული და თანაც მეტად მარტივი, რომელთაც ჟურნალიზმი სცნობს. როგორც ზემოდა ვსთქვით, ის იცნობს მესამესაც.

ამ მესამე წესს შეიძლება უწესო, ანუ უკეთ უზრდელი პოლემიკა უწოდოთ. აქ „პოლემისტი“ არავითარ დადებით აზრის წამოყენებას, მის დაცვას ან დასაბუთებას არა ცდილობს, როგორც ეს დადებით პოლემიკაში ხდება. ასეთი შრომა მისი ინტელექტუალური სიღარიბის გამო მისთვის მიუწვდომელია. არც მოწინააღმდეგის დებულებას ეკამათე-

ბა და აკრიტიკებს, როგორც ეს უარყოფით პოლემიკაში დავინახეთ, ეს მისი უკულტურობით, უცოდინარობით და სიბრიყვით აიხსნება, მას არ შეუძლია დაჩუმდეს, რადგან მისი ინტელექტისათვის დადებითი შრომა შეუძლებელია, მას არ შეუძლია დაჩუმდეს მიუხედავად იმისა, რომ მისი უკულტურობა და უცოდინარობა სიჩუმისაკენ მოუწოდებენ, და რა რჩება მას ასეთ შემთხვევაში?... პიროვნება, და აი, ხდება ქუჩური დემონსტრაცია, არავითარი პატივისცემა არც საზოგადო და არც კერძო ცხოვრების, საჭიროა მოპირდაპირეს პიროვნების გათახსირება, თუნდაც ცილის წამებით და ინსინუაციებით. ქართულ ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში ასეთ პოლემიკის კლასიკური მაგალითი ილია ჭავჭავაძისა და ჟორდანიას - მახარაძის პოლემიკაა. ილიას პოლემიკა ერთგვარი სინთეზია პირველ ორ წესთა, ე.ი. დადებითი და უარყოფითის. ი. ჭავჭავაძე არ კმაყოფილდება თავის თეზის მტკიცე დასაბუთებით, ის მოწინააღმდეგეთა პოზიციასაც კბილებს უსინჯავს და ორი მარქსისტის თეზის უმწეობა, უსუსურობა დღის სინათლეზედ გამოაქვს და მას თავისი ჯადოსნური კალამით ამასხარავებს. დიდი ილია პოლემიკის იდეალური ფორმით სარგებლობს, ე.ი. ორ მეცნიერულ წესთა სინთეზით, ისე როგორც ყველა დიდი პოლემისტი, ის ჯერ საკუთარ სასახლეს აშენებს და შემდეგ მოწინააღმდეგისას ანგრევს. ეს ორ წესთა სინთეზის საუკეთესო ფორმაა, ის არ იქცევა, როგორც ეს ბევრ ნიჭიერ პოლემისტს ემართება — ჯერ სხვისი დაანგრიოს და მერე თავისი ააშენოს.

ილიას პოლემიკაში დანგრევის მომენტს, აღმშენებლობის მომენტი უსწრებს და აშენებულ სასახლის გვერდით უბადრუკი საჯინიბოს დანგრევა აუცილებელ ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცევა.

პოლემიკის რა წესით უპირისპირდებიან ილიას, ჟორდანიას-მახარაძე, ეს უკაცობის კაცები?

ბუნებრივია ჟორდანიას-მახარაძის ყაიდის ხალხს საკუთარი აზრი არ ჰქონდეს; ისინი მათთვის დამახასიათებელი უსუსურობით მარქსის დოქტრინას უპირდაპირებენ ილიას ეროვნულ მოძღვრებას, მაგრამ როგორც ეს ილიამ დაგვანახვა, აქაც ისინი მარქსიზმის უნიჭო „ჩასტნი პოვერენები“ არიან და აი, აქ იწყება პოლემიკის მესამე წესის (რომელსაც ჟურნალიზმი იცნობს მაგრამ არ სცნობს) გამოყენება მთელი თავისი სიგრძე სიგანით: პოლემიკის უწესო და უზრდელი წესი — ნოე ჟორდანიას და ფილიპე მახარაძეს წესი — ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო“.


„ილია ბანკირი“, „პომეშიკი“, „გლებების მაწამებელი“, „მუშათა სისხლის მსმელი“ და სხვ. რამდენად ეკადრება ყველა ეს „მუშას“, „კაცია ადამიან?“-ს და „გლახის ნაამბობის“ ავტორს, მკითხველმა განსაჯოს, მხოლოდ ჩვენ აღვნიშნავთ ერთ რამეს, პოლემიკის ამ წესით წარმოება თავის ლოლიკურ დასკვნამდე მივიდა, ესე იგი წიწამურის სისხლის სამართლის აქტით დამთავრდა; სხვაგანაც პოლემიკის ამ წესმა ასეთი ნაყოფი გამოიღო. ცხოვრების სინამდვილემ დაგვანახვა, რომ ამ უწესო



და უზრდელ პოლემიკას მეტი საერთო ჰქონდა სისხლის სამართალთან ვიდრე ჟურნალიზმთან.

როგორც ქართველი და კავკასიელი პატრიოტი ჩვენი ეროვნული ემიგრაციის პრესას და ჟურნალისტებს სრულიად გულწრფელად უსურვებდი ილიას გზით ეარათ, პოლემიკის წესთა იდეალური სინთეზით ეხელმძღვანელათ და თუ ეს მათთვის მიუწვდომელი იქნება, პოლემიკის რომელიმე მეცნიერული წესი აერჩიათ, ეს უფრო შეშვენის ეროვნულ ჟურნალისტიკას და მათ სურვილს ჟურნალისტობისას. ილიას და ნოე-ფილიპეს შორის არჩევანი, ვფიქრობთ, ადვილია.

დინარელი



ნაციონალიზმი და მისი შესაძლებლობანი

ეროვნული იდეა იმდენად ბუნებრივი ჰქმნარიტებაა და გახდა შეუცილებელი - ჩვეულებრივი ადამიანის გონება შემეცნებაში, რომ ყველა ერს, თვით ამ იდეითა აქვს უფლება იყვეს ერთიანი და თავისუფალი. ვნახოთ თუ რატომ.


ნაციას, ერებს აქვთ: 1. ისტორიული ახსნა — რასიულობა, გვარტომობრიობა. და სადაც იწყება მათი ტერიტორიაზე დამკვიდრება, იქ იწყება ნაციის სახელმწიფოებრივობაც, საკუთრების ბაზით.

2. მასა (ნაციას) აქვს აგრეთვე სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც: გეოგრაფიული, ფიზიკურ-მატერიალური; მისი სიმდიდრე ან სიღარიბე და თვით გარემო — ჰავა.

3. საზოგადოდ ერების, თუ კერძოდ ერთი ნაციის ეთნიურობას ავსებს ენა, საერთო მოგონება - მითები, კულტურის იგივეობა, წარსულისა თუ ისტორიის ერთიანობა, სული და სხე.

ამნაირად, თვითეული ერი ხასიათდება თავისებური თვისებებით, ფიზიონომია - სპეციფიურობით და განმტკიცებული ტრადიციებით. აღნიშნული მოვლენებია სათავე თვითეული ერის ინდივიდუალობისა და მის საჭიროებათა. ამრიგ ნაციონალურ ერთეულებად არის დაყოფილი კაცობრიობა. ამიტომაც საერთო თვალსაზრისით ნაციათა ჰარმონია მოსჩანს როგორც საუკეთესო იდეალი პროგრეს - ცივილიზაციისა.

ისტორიის სვლასა და ცხოვრების წარმატებას აქეთკენ (ნაციათა ჰარმონიულობისაკენ და არა ნაციათა გაუქმებისაკენ) მივყევართ, მიუხედავად კლასიურ დოქტრინებისა — მარქსიზმისა და ანარქიზმისა. ნაციის შიგნით ეროვნული სოლიდარობა, და გარედ ნაციათა სოლიდარობა გამოიყურება როგორც ერთად ერთი გზა ადამიანის განთავისუფ-




ფლება სრულქმნილობისა. აქედანაა შესაძლებელი ჰარმონია ერში და იგივე ერთა შორის ჰარმონიულობაც.

ადამიანი მრავალფეროვნადა სცხოვრობს და მოქმედებს ნაციონალურ, ეროვნულ კოლექტივში, სწორედ მხოლოდ ნაციონალური სვლა ეთანხმება ისტორიის სვლას, თვით სამართლიანობასთან ერთად. ამ გზით შედის და მონაწილეობს ერი კაცობრიობაში. ამ ნიადაგზეა შექმნილი საერთაშორისო სამართალი, რასაც სამართლის მეცნიერებაში დასაწყისიდან ჰქვია ნაციათა უფლება.

ამ მსვლელობას, როგორც ვხედავთ, არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან, რომელიც აღიარებს კლასიურობის პრინციპ - ახსნას საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ისტორიის მსვლელობისა და აქედან გამოსული, ღებულობს კოლექტივიზმს და არა ეროვნულ, ნაციონალურ კოლექტივს, ანუ აქედანვე გამომდინარე ეროვნულ საზოგადოებრიობის ჰარმონიულობა - სოლიდარობას. კოლექტივიზმით და მათი ასოციაციით მარქსიზმი მიდის თავისებურ ინტერნაციონალიზმამდის (კოსმოპოლიტიზმი), რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ საერთაშორისო სამართალთან, რომელსაც ჰქვია ინტერნაციონალური სამართალი ანუ ნაციათა უფლება. ესე იგი, მარქსიზმი მოკლებულია სამართლიანობის გეზს, სამართალს. იგი თავის კოლექტივიზმით და კლასიურობის პრინციპით მოკლებულია ისტორიის იმ რეალურ სვლა-ახსნასა და წარმატების შინაარსს, რომელიც მდგომარეობს ნაციონალურობაში, ცივილიზაციაში. ამიტომაც იგი (მარქსიზმი) ანტიეროვნული, ანტიცივილიზაციური, ანტისამართლიანობასთან ერთად.

ამას თუ დაუმატებთ მარქსისტთა მატერიალისტურ კონცეპციას, რომელიც ვერ იტყვის სულიერ თუ მორალურ საზოგადოებრივ ღირებულებათ, რანაირად შეიძლება მოხერხდეს მასთან კავშირი ცივილიზაციურ თუ ნაციონალურ მსვლელობაში? პასუხი თვით ცხოვრებამ მოგვცა, რადგან იგი ვერსად განაღდა და ყველგან დაუღა გაუქმების დღე. მას ეწვია მალტუსის თეორიის ბედი.

მხოლოდ ნაციათა უფლების ნიადაგზე ვითარდება ისტორიის, სამართლიანობისა და ცივილიზაციის სვლა წარმატება. მაგრამ ჯერ შორსა ვართ მის დასრულებისა თუ საბოლოო დადგინებისაგან. ამიტომაც, დროსა და სივრცეში მიღებული განსაზღვრულ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ პირობებში ერს, ნაციას, შესაძლებელია, აღმოაჩინდეს საერთო მორალური და მატერიალური გარემო — ინტერესი სხვა ერსა თუ ერებთან. აქედანაა თვითეული მათგანის თანამშრომლობის საჭიროება, მათი ყოველმხრივი სარგებლიანობის სიცხადით თვითეულისათვის. აქედანვე იქმნება სხვა და სხვა ფორმაცია ცალკე სახელმწიფოთა, ერთა სუვერენობის დაურღვევლად, მათ გარე-საერთო ნიადაგზე. ამრიგად



ხდება ერთა სოლიდარობის მანიფესტაცია, სწორედ ნაციონალიზმის გატარება - ექსპრესიით. ასეთია შესაძლებლობა ნაციონალიზმისა, რადგან ნაციონალიზმი არაა არც იმპერიალიზმი, არც ანარქიზმი ან მარქსიზმი და მისი კოსმოპოლიტიზმი.

დასაწყისშივე ვნახეთ ნაციის ახსნა ეთნიურის, ისტორიულის თუ სხვა თვალსაზრისით და აღვნიშნეთ, რომ ნაციას უმუშავდება თავისი აუცილებელი ინდივიდუალობა. ეს მოვლენა, შეგნებული, შემეცნებული, გადადის ნაციონალიზმში. აქედან ნაციონალიზმი აღწევს და არის მრწამსი და შემეცნება, სპირიტუალურ - გონებრივი გარემოება და გრძნობა, რომელსაც იზიარებს თუ იღებს საკმაო რაოდენობა ადამიანებისა, რაც იძლევა ერთ ნაციონალურობას, ეროვნულობას. ესაა გრძნობა, რომ ისინი არიან ერთურთის, ერთმანეთში დაკავშირებულნი, განსაზღვრული ერი — ნაცია. ადამიანთა ის რაოდენობა, რომელიც ამ ერთ ნაციონალურობასა გრძნობს თუ მის შემეცნებასაც აღწევს, არის ერთი ხალხი, ერთი ეროვნული კოლექტივი და მცხოვრები ერთ მოცემულ ტერიტორიაზე. ხოლო როდესაც ნაციონალური იდეალი მიზანს აღწევს, როდესაც ნაციონალიზმი ხორციელდება, იქმნება გარკვეული პოლიტიკური და მორალური ერთეული — სახელმწიფო. ამ სახელმწიფოებრივობის მიღწევა არის მატერიალური მანიფესტაცია ნაციონალური, ანუ ეროვნული იდეალისა, რომელიც ხშირად და ისტორიულად მასზედ (სახელმწიფოზედ) ადრე არსებობდა, წინ უძღოდა მთელი თაობებით, როგორც ასპირაცია, ისე რომ, სახელმწიფოებრიობასა და სუვერენობას ვერ აღწევდა, ვერც ტერიტორიალურ მთლიანობას ანხორციელებდა. ამაში მოსჩანს გვარ-ტომობრიობის, რასიულობის ძლიერება, როგორც ნაციონალიზმის ელემენტისა. ის გარემოება, რომ მეცნიერულად შეიძლება განსაზღვროთ ადამიანის ჯიში, წარმოშობა, თავის ქალის გაზომვით, თვალების მიხედვით, თმის შემადგენლობით, ფერითა და კანით — ამტკიცებს რასიულობის ფაქტს. მისი მიხედვით ირკვევა ესა თუ ის ხალხი ვინაა და რა ანთროპოლოგიურად; როდესაც ნაციონალურობა, განსაზღვრული ხალხის მრწამსი, გრძნობა თუ შემეცნება მისი, თუ ვინ და რაა ის პოლიტიკურად. ამიტომაც ნაციონალიზმში ენა საყურადღებო, როგორც ექსპრესია ტიპიურ (ნაციონალურ) კულტურისა და რასიულობაა ძირითადი.

ამის გამოა ნათქვამი, რომ „ადამიანის თანდაყოლილი შესაძლებლობანი აუცილებლად დამოკიდებულია მის შთამომავლობაზე და რაც უნდა კეთილგანწყობილი იყოს მისი საზოგადოებრივი წრე, ადამიანის ამ წრეში რეაქცია-ყოფა განსაზღვრულია დაბადება წარმოშობიდანვე“ო. ზემოდა ვსთქვით, რომ ნაციონალიზმის გამატერიალება გამოისახება სახელმწიფოებრიობაში, სუვერენულ ხელმწიფებაში. აქ ეროვნულობის იდეა და გრძნობა - რწმენა ჰქმნის მატერიალურ მდგომარეობას — სახელმწიფოს. ხოლო სახელმწიფო ყოველთვის არაა ნაციის, ნაციონალიზმის ექსპრესია. დღევანდელი რუსეთი ამის მლალადე-

ბელია; ომის წინა ავსტრო-უნგრეთი და კიდევ წინანდელი ოტომანთა იმპერიაც ამის მაჩვენებელია. მათ ნანგრევებზე განაღდა მრავალ ერთა მისწრაფება — ნაციონალიზმი. ისე როგორც რუსეთის სახელმწიფოს ნანგრევებზე უნდა განთავისუფლდეს კიდევ მრავალი ჩაგრული ერი.

აგრეთვე როცა ნაციონალიზმის ანალიზს ვცდილობდით, იგი მოსჩანდა როგორც მოვლენა, გამომდინარე, გამოკვეთილი თავის წარმოშობა და შემქმნელ ელემენტ - საფუძველისაგან. და ამავე დროს მოსჩანდა როგორც მათზე ზევით მდგომი მოვლენა. ის (ნაციონალიზმი) მათ (ელემენტ-საფუძველების) სინთეზ-კოორდინაციას ახდენს. ასეთია ნაციონალიზმი. სწორედ ეს მისი ზე-მოვლინება თავის შემადგენელ ფაქტორებზე, შესაძლებლად ხდის ერთგვარ სუპერნაციონალიზმის შექმნას, მონათესავე და ეთნიურად მჭიდროდ მოყვარე ერთა შორის. ნაციებსა, ერებს შორის, რომელთაც სერიოზული საერთო მსგავსებანი მოეპოვებათ. ამ სურნაციონალიზმით აიხსნება მაგალითად, ბრიტანეთის ეროვნობისა და ნაციონალიზმის კრისტალიზაცია, რომლის ძირია სამი მონათესავე, მსგავსებათა მქონე, ეთნიური ნაწილი: შოტლანდიელი (შვედები), გოლუა და ინგლისელი.

მოიპოვება სხვა მაგალითებიც, მაგრამ ამ მოკლე ეტიუდს ვასრულებთ იმის აღიარებით, რომ ნაციონალიზმი თავის წყაროს იღებს ნაციონალურობის შეგრძნობაში, რომელიც გადადის ტრადიციაში და აღწევს შეცნობილ, შეგნებულ ხასიათს, რაც მას ანიჭებს უდიდეს ძალაძლიერებას. ამავე დროს, ნაჩვენებ გარკვეულ პირობებში იგი იძლევა შესაძლებლობას სურნაციონალიზმისა, რომელიც მას კი არა ჰკვეცავს, პირიქით, და მასზედ შენდება — იტევს ნაციონალიზმს.

როგორც ბრიტანელთა მაგალითი გვიჩვენებს, ეს გარემოება დროთა მსვლელობაში თავის მხრივ გადადის ტრადიციაში და შემდგომ იგი ღებულობს შეცნობილ და შეგნებულ ხასიათს. ცხადია, იმ პირობებში, რომელნიც აქ აღვნიშნეთ, ესე იგი იმათ შორის, ვინც საჭირო ეთნიურ საფუძველ-ელემენტებით თუ მსგავსებით მოწოდებულნი არიან ამისათვის. ასეთია ნაციონალიზმი და მისი შესაძლებლობანი.

სევ. ურუშაძე

ჩემს ბრალმდებელთ

(გაგრძელება)

თუ რა დაკნინებამდე მიიყვანა ბ-ნმა ალექსანდრე ასათიანმა ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა, იმ გარემოებიდანაცა სჩანს, რომ ჩვენ იძულებული ვხდებით ანგარიში გაუწიოთ და ვარჩიოთ ისეთ სრუ-

ლიად გამოუცდელ და უმწიფარ ახალგაზრდათა პუბლიცისტური ვარჯიშობა, რომელთაც არ ესმით უბრალო მდივნის თანამდებობაც, და ჩემს სიტყვას, წარმოთქმულს სოჭოში, სადილზედ თამადაობის დროს, ასაღებენ კონფერენციის სიტყვად, რადგან ის საჭირო იყო ბ-ნ ასათიანის ბოროტ განზრახვებისათვის.

„მთელი ჩემი სიცოცხლე ახალგაზრდობასთან ვიყავი დაკავშირებული, მაგრამ ასეთი დინჯი, მტკიცე და გულწრფელი პატრიოტული ენტუზიაზმით აღვსილი ახალგაზრდობა, რომელიც მე ეროვნულ დემოკრატიულ ყრილობაზე გავიცანი — მთელი ჩემი მოღვაწეობის დროს მე არასოდეს მინახავს“. ბამატის კარნახით ეხლა ის „მკვდარ სულეზად აცხადებს სწორედ ამ წრეს და ამ აზრ-აზნეულობას ემუხავრი „აკადემიურ და კულტურულ მოღვაწეობას“ უწოდებს.“ იხ. „სამშობლო“ № 25—26).

ასეთი აზრი ახალგაზრდობაზე დღესაც მაქვს, მაგრამ ხშირად მწუხარებაც გამომიტყვამს ჩემს მეგობრებთან საუბრის დროს იმის შესახებ, რომ ასეთ შესანიშნავ ახალგაზრდობას ისეთი უღირსი ბელადი ჰყავდა. როგორც ასათიანი და მისი მარჯვენა ხელი ელისე პატარიძე.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ამ „ლიდერებმა“ გააბატონეს პარტიაში ისეთი ზნენი, რომ ამ პარტიას გზა დამარცხებისაკენ გაუკაფეს, და რომელსაც თვით ბ-ნი აბულაძე „პროტექციას“ უწოდებს („სამშობლო“ № 25—26 გვ. 40).

მე ეხლაც ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ახალგაზრდებში დავინახავ გატაცებას ეროვნულ დემოკრატიულ ფილოსოფიით, და არა ინტრიგებით მარტო. არსებობს თუ არა ასეთი ფილოსოფია და სად სწერია იგი? ეს ფილოსოფია არსებობს და იგი სწერია უპირველესად ყოვლისა იმ წიგნში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მაგიდიდან არ იშორებდა, და რომლითაც ხელმძღვანელობდა იგი, როგორც მოაზროვნე. ეს არის ორი უზარმაზარ ტომიანი შრომა ჯონ-სტუარტ მილისა, რომელიც ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ლიდერებს არც კი სიზმრებიათ.

ერთი მაინც ცხადია ბ. გრ. აბულაძეს მიერ მოყვანილი ციტატიდან. ეროვნულ დემოკრატიულ ახალგაზრდობას ჩემს წინააღმდეგ დაცვა სრულებით არა სჭირდება. ბ. გრ. აბულაძე კი თავის ვალად სთვლის იგინი მაინც დაიცვას. აი მისი არგუმენტი:

„ისინი ჩამოვიდნენ თავიანთი სურვილით და ხარჯით და უმრავლესობა 500 და ათასი კილომეტრის მანძილიდან“ („სამშობლო“ № 25—26 გვ. 40).

ეს სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რა ამოცანას უსახავდა ბ. ასათიანი და მისი კამარილია, რომელშიც, როგორც სჩანს, ბ. ელისე პატარიძის გარდა ბ. გრ. აბულაძეც შედის, ამ 500 და ათასი კილომეტრის მანძილიდან ჩამოსულ ყრილობის წევრებს, რომელთა უმრავლესობა სწორედ ახალგაზრდებისაგან შესდგებოდა? ამის შესახებ მოუსმინოთ თვით ბ. გრ. აბულაძეს:

„ყრილობის უმთავრესი დანიშნულება იყო პარტიის ოცი წლის თავის აღნიშვნა და არა შინაურ ფრაქციათა შორის არსებულ დავის საკითხების გადაწყვეტა“ („სამშობლო“ № 25—26 გვ. 34).

მსოფლიო პოლიტიკაში გრანდიოზული გარდატეხა ხდება, ყოველ წუთს მოსალოდნელია ისეთ მოვლენათ ექნეს ადგილი, რომელთაც ჩვენი მრავალტანჯული ერისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ამ მოვლენებს ეროვნულ დემოკრატიული პარტია ხვდება დაქუცმაცებული, გათახსირებული, ყოველივე მოქმედების უნარს მოკლებული. და ამ დროს ასათიანის კამარილია იმაზე კი არ ფიქრობს, ამ აუტანელ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, არამედ ზეიმზე და მასკარადზე, და ამისათვის უნდა შეაწუხონ ქართველობა და 500 და ათას კილომეტრის მანძილიდან პარიზს ჩამოვიდნენ, ფლანგონ დრო და საშუალება! თუ ასათიანი და მისი კამარილია არავითარ ტრადედიას ამ პარტიულ დაქუცმაცების გამო არ განიცდის, ეროვნულ დემოკრატიულ ახალგაზრდობას კი სტანჯავდა ეს დაქუცმაცება. ამას ადამიანი ნათლად შეატყობდა როგორც მათ გამოსვლებში, აგრეთვე თვით მათ სახეებზედაც, ამიტომ პირველ დღესვე დაიწყო კონფლიქტი მათსა და ასათიანს შორის. ყრილობის გეგმა ასათიანის მიერ შემუშავებული იყო პირდაპირ ობსტრუქციონული. მას მიზნადა ჰქონდა, რომ ყრილობას არაფერი გაეკეთებინა. პირველის დღის წესრიგში იყო ზეიმის მოწყობის საქმე. მეორე დღეს — თვით ზეიმი. მესამე დღეს სასაფლაოზე წასვლა. მეოთხე დღეს — ელისე პატარიდის მოხსენება დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის უვარგისობაზე (ამასაც ეროვნული დემოკრატია რქმევია! ვ. ე.) სხვა პოლიტიკურ ჯგუფების თანადასწრებით და მათთან ამ მოხსენების გარჩევა. თვით მოხსენება იმდენად გრძელი იყო, რომ მის წაკითხვას ორი საათი უნდა მონდომებოდა. ამრიგად, თუ ბ. ასათიანის გეგმით ყრილობას ოთხი დღის განმავლობაში არაფერიარ უნდა გაეკეთებინა, უმეტესობაც არც კი ჰქონდა საშუალება მეტ ხანს დარჩენილიყო პარიზში, ყოველ შემთხვევაში მეტი დრო გადაედო ყრილობისათვის. ამრიგად, ამდენი ხალხი უნდა დაძრულიყო პროვინციებიდან, 500 და ათას კილომეტრის მანძილიდან არა საქმისათვის, უნდა ეფლანგათ დრო და საშუალება მხოლოდ იმისათვის, გაეძლიერებიათ ბ. ასათიანის პოზიცია ნ. ჟორდანიას წინაშე და მე ვგლოვობ მხოლოდ იმას, რომ ასათიანის უკაცრაული პასუხია ყრილობის გამო მე მსოფლიო გამოფენაში დაუთვალე რეზერვები დამრჩა რამოდენიმე ჩემთვის ფრიად საყურადღებო პავილიონი.

ვსთქვათ, რომ პარტიის ოცი წლის თავის აღნიშვნა ისეთი საქმე იყო, ღირდა მხოლოდ ამისათვის მსხვერპლის გაწევა, 500 და ათას კილომეტრის მანძილიდან ჩამოსვლა. მაგრამ ვის უნდა მოეწყო პარტიის იუბილე? ეხება რა ამ იუბილეს საკითხს ბ. აბულაძე მე სასტიკი სიტყვებით მიმასპინძლდება. მომმართავს რა მე, იგი სწერს:

„თქვენი მტკიცება შესახებ იმისა, რომ ყრილობაზე არ იყვნენ მო-



წვეულნი სხვა ეროვნულ დემოკრატები, გარდა ჩვენი ფრაქციის წევრებისა, მტკნარი სიცრუეა და ეს თვით თქვენც კარგად იცით, რადგან ერთ ასეთ უკანასკნელ მოწვევაში პირადად ზიილეთ მონაწილეობა“. („სამშობლო“ № 25—26 გვ. 34).

ჩემთვის სრულებით არ არის გასაკვირალი, რომ ბ-ნ აბულაძეს ჩემი სიტყვების არაფერი გაეგება. ჩემთვის ძნელია აბულაძესათვის გასაგებ ენაზედ ლაპარაკი, მაგრამ ახალგაზრდები, რომელთაც ამ იუბილეს საკითხზე სრულიად სამართლიანად კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ასათიანის საქციელი, ხომ ძალიან პოპულარულ ენაზედ ლაპარაკობდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ იუბილეს შესახებ უნდა მომხდარიყო წინასწარი შეთანხმება სხვა ფრაქციებთან, უნდა შემდგარიყო საერთო ორგანიზაციული კომიტეტი და საერთო ძალით შემუშავებული და გატარებული გეგმა. ბ-ნ ასათიანს და მის კამარილიას ახასიათებს სხვათა შორის ისიც, რომ მათ არავითარი აღზრდა არა აქვთ, ამიტომ სრულიად მოკლებულნი არიან რეპრეზენტატიულ უნარს. ძალიან ადვილი შესაძლებელია, ეხლა რომ ასათიანის მიერ მოწყობილი ყრილობიდან საზოგადოებას მებსიერებაში მხოლოდ ერთად ერთი სასიამოვნო შთაბეჭდილება დარჩენოდა, რომელსაც სტოვებდა ბ. ასათიანის ბრძოლა გელებულ ფანჯრიდან შემოსულ ქართან, რათა მის თავზე თმებს მიჩენილი პოზიცია შეენარჩუნებინათ.

ბ-ნ ასათიანს და მის კამარილიას არ ესმოდათ, რომ მათ მიერ სხვებთან შეუთანხმებლად მოწყობილი პარტიის იუბილე იქნებოდა მხოლოდ კომედია, ფარსი. ასეთ იუბილეზე სხვა ფრაქციების სტუმრად მოწვევა, იყო გალანძღვა, როგორც მოწვეულთა, აგრეთვე თვით მომწვევთათვის. „სხვა ეროვნულ დემოკრატები“, რომლებზედაც ბ. აბულაძე სწერს, ასათიანის იუბილეს ბოიკოტს უცხადებდნენ და სრულიად მართალნი იყვნენ.

იყო დრო, როდესაც ასათიანი პარტიაში სასარგებლო პიროვნებას წარმოადგენდა და ეს იმიტომ, რომ მას ჰქონდა მისთვის შესაფერი როლი, როლი ფოსტის ცხენისა პარტიაში. ემიგრაციაში ბ. ასათიანი ამ როლით არ დაკმაყოფილდა, პარტიული ეტლი ტალახში ჩავარდა, ბ. ასათიანმა იფიქრა, ეს იმიტომ მოხდა, რომ მეეტლე არ ვარგოდა, ამიტომ მოისურვა მეეტლის ადგილზე დაჯდომა და ეტლიდან გამოეშვა. მაგრამ, როგორც მეეტლე, ის გამოდგა ყოვლად უმწეო და სასაცილო, მას კი ეს როლი ადვილი ეგონა. მაშინ ის შეება ნ. ჟორდანიას ეტლში, იქ მას საკმარისი საკვებავი მასალა ეგულებოდა, თანაც ეროვნულ დემოკრატიულ ბანაკში მეეტლეს უფლება შეინარჩუნა. ამრიგად, ეტლი დარჩა უცხენოდ, ფაქტიურად უმეეტლეოდ, იგი თანდათან ტალახში ჩაიფლო და შეუძლებელი ხდება მისი იქიდან ამოთრევა.

კალიგულას ცხენი ინცინატუსი, როგორც ცხენი იყო ფრიად ლამაზი და სასარგებლო. მაგრამ იგი გახდა სენატორი და ამ როლში კი, რასაკვირველია იგი სრულებით არ ვარგოდა. კალიგულას ცხენის სასა-

რგებლოდ ის მაინც ითქმის, რომ იგი თავისი ნებით კი არ გამხდარა სენატორი, მისმა დესპოტიურმა ბატონმა მოახვია მას თავზედ ეს როლი.

საქართველოშიც იყო ერთი ფრიად საყურადღებო არტილერიის ცხენი, მარდი, ლამაზი, შნოიანი, გამბედავი. ამ არაჩვეულებრივი თვისებებით მან მოწონებაც დაიმსახურა. მას სახელიც ლამაზი ჰქონდა: ერქვა ცაგურია. ემიგრაციაში, რასაკვირველია, იგი მოსწყდა თავის ხელობას, გაიხედ გამოიხედა, ყველა პუბლიცისტობდა, მასაც აეშალა წერის საღერღელი. გახდა მჯღაბნელი იმდენად მყრალი და ბინძური, რომ დღეს ის ღირსიც არ არის, პატიოსანმა ადამიანმა თვალში შეაფურთხოს.

პოეტი ჰეინე ერთ ლექსში სწერდა, ქვეყანა ყირამალა გადატრიადა, ცხენები ადამიანებზე სხდებიან და სამშობლოს გმირებს მაიმუნები უშენებენ პანთეონსო. პოეტ ჰეინეს წარმოდგენაც არა ჰქონდა იმის შესახებ თუ რა მაღალ ხარისხოვან ჯიშის მაიმუნებთან ჰქონდა მას საქმე: მათ იმის შეგნება ჰქონდათ რომ სამშობლოს გმირებისათვის პანთეონი იყო ასაშენებელი. რამდენად დაბალხარისხოვანი უნდა იყოს ის მაიმუნი, რომელსაც არა თუ ამის შეგნება არა აქვს, პირიქით, საფლავებს ულანძღავს მიწას მიბარებულ გმირებს, ცოცხლებს კი თავზე ლაფს ასხავს!

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყრილობის მეოთხე დღესაც არსებითად არაფერი არ უნდა გაკეთებულყო. ამ დღეს ბ-ნ ელისე პატარიდეს უნდა წაეკითხა თავისი მოხსენება სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფების წარმომადგენელთა თანადასწრებით და მათივე მონაწილეობით უნდა გარჩეულიყო იგი. ამას ეწოდებოდა სხვა ორგანიზაციებთან მოლაპარაკება და შეთანხმება. ეს იყო აშკარა ობსტრუქცია. აქაც ეროვნულ დემოკრატიულმა ახალგაზრდობამ მეტი შეგნება გამოიჩინა, ვინემ ამას ბ. ასათიანი მოელოდა. ჯერ ჩვენ ერთმანეთს შორის არ მოგვილაპარაკნიაო, ამბობდნენ ისინი, არავითარი გადაწყვეტილება ჩვენ არ გამოგვიტანია, და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს რაზედ უნდა ველაპარაკოთო. მე ვითხოვე რიგს გარეშე სიტყვა, ვინაიდან დრო არ მქონდა დავრჩენილიყავ ყრილობაზე. მე მოკლედ რამოდენიმე დებულება წამოვაყენე პარტიის ფინანსიურ პოლიტიკისა და ფრონტის პრობლემის შესახებ და გამოვეთხოვე ყრილობას.

მე გადმომცეს, ყრილობამ დაადგინა ნოე ჟორდანიას ცენტრიდან გამოსვლა, აგრეთვე მოისმინა ელისე პატარიდის მოხსენებამო. ვინაიდან ყრილობას ფაქტიურად მდივანი არა ჰყავდა, ამიტომ შესახებ იმისა თუ რა დაადგინა, სხვა წყარო არ არსებობს, გარდა ზეპირი გადმოცემისა. მე მინდა მოკლედ შევჩერდე ბ. ელისე პატარიდის მოხსენებაზე, რომელიც მე სოშოში მოვისმინე, რათა დავანახვო მკითხველს თუ რა იდეური არევა შეაქვს ასათიანის კამარილიას ეროვნულ დემოკრატიულ მოძრაობაში როგორ აძლიერებენ მენშევიკების პოზიციას. ჟურნალი „სამშობლოს“ 25—26 ნომერში მოთავსებულია მოკლე შენიშვნა იმის



შესახებ, თუ რა გრანდიოზულ პრობლემებს ეხება ბ. პატარიძე თავის მეტის მეტად პატარა თავით. არც ერთი ცნება თავის ალაგას არ იყო, რამდენიც ფრაზა იმდენი აბსურდი. ძირითადი დებულებანი კი იყო ორი.

დებულება პირველი: — ბ-ნ ელისე პატარიძეს გაუგონია, რომ პარლამენტარიზმი ცუდი პოლიტიკური სისტემა არისო და ამიტომ ილაშქრებს თვით პარლამენტის არსებობის წინააღმდეგ, მას იგი ვეჭილების საყაყანო დაწესებულებად აცხადებს და უარყოფს მის საქიროებას მომავალ განთავისუფლებულ საქართველოში.

დებულება მეორე: — ბ. ელისე პატარიძის აზრით, თუ ჩვენ ვალდებული ვართ ერის ინტერესს ჩვენი სიცოცხლე შევწიროთ, მით უმეტეს ვალდებული ვართ შევსწიროთ მას ჩვენი თავისუფლება. მე ეს დებულება ასე გავიგე: საქართველოში ტახტი უნდა დაუდგათ დიქტატორს და ბედნიერად უნდა ჩავთვალოთ ჩვენი თავი, თუ ამ დიქტატორმა ჩვენ საკონცენტრაციო ბანაკში გაგვაგზავნა. ბ. ელისე პატარიძე ისე, როგორც სხვა ფაშისტები, არ ასახელებს თუ ვინ უნდა გახდეს ასეთ დიქტატორად. ისინი მოითხოვენ თამასუქს ერის განთავისუფლებაზე, მხოლოდ ვინ უნდა გაანადღოს ეს თამასუქი, ვის ამბიციას უნდა შეეწიროს ზვარაკად ერის თავისუფლება ეს ბრმა შემთხვევამ ან პრეტენდენტების ერთმანეთთან ბრძოლამ უნდა გადასწყვიტოს. შესაძლებელია ბ. პატარიძეს ზემოდ მოყვანილი დებულებანი გენიალურ იდეას წარმოადგენენ, შესაძლებელია მართლა რომ პარლამენტი და გარდა პარლამენტისა თვით სასამართლოც მხოლოდ ვეჭილების საყაყანო დაწესებულებანი იყვნენ, ვინაიდან ვეჭილებმა პარლამენტზე ადრე სასამართლოში დაიწყეს გამოსვლა და იქ ისინი უფრო ხშირად გამოდიან. შესაძლებელია რომ საქართველოსათვის უფრო სასარგებლო იყოს, ბერიას დიქტატურა სხვა სახის დიქტატურით შეიცვალოს, ვინემ მოხდეს თვით დიქტატურის ლიკვიდაცია, ვინემ ერს მიეცეს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება. ყველაფერი ეს შესაძლებელია, მაგრამ ერთი კი ცხადი უნდა იყოს წერა კითხვის მცოდნე ადამიანისათვის, რომ ამ გენიალურ აზრებს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მოძღვრებასთან არაფერი საერთო არა აქვს. მაშასადამე, ვინც თავის თავს ეროვნულ დემოკრატს უწოდებს, ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის ცენტრალურ ორგანიზაციაში ვერ იქნება. და ვინც ასეთ აზრებს ავრცელებს, მას იმდენი ვაჟკაცობა მაინც უნდა შესწევდეს, რომ სხვისი იდეურ ორჭოფობაზე არ ილაპარაკოს. თუ მიუხედავად ამისა, ასათიანები, პატარიძეები და აბულაძეები ჩემს იდეურ ორჭოფობაზე ლაპარაკობენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ მათ სრულებით პრიმიტიული აზიური კონცეპციები აქვთ პოლიტიკურ სიმტკიცეზე. მათთვის იდეა განუყრელად არის შეკავშირებული პიროვნებასთან, ამიტომ ვინც პიროვნებას აქცევს ზურგს, ის მათი აზრით ამავე დროს თვით იდეასაც ზურგს აქცევს. მოგეწონათ დღეს ბ. ასათიანის იდეა და გაჰყევით მას, ხვალ თუ ასათიან-

ნმა ამ იდეას ლაფი გადაასხა, სულერთია, თქვენ მაინც მისი ერთგული უნდა დარჩეთ. ენდეთ დღეს ბ. ასათიანს, ხვალ მან ბოროტად გამოიყენა თქვენი ნდობა, თუ მიუხედავად ამისა თქვენ მისი ერთგული არ დარჩით, თქვენ ხართ იდეურად ორჭოფი ადამიანი. ვინაიდან ასეთი კონცეპცია ძალიან გავრცელებულია ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილეში, ამიტომ ბ. ასათიანმა რამოდენიმე წლის განმავლობაში მენშევიკების კუდზე ათრია თავისი მომხრენი.

თუ მე არ ვიზიარებ ბ. ელისე პატარძის გალაშქრებას ეროვნულ დემოკრატიულ დოქტრინის წინააღმდეგ, ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ ამ დოქტრინაში ყველაფერი თავის ადგილზედ არის. იდეალური პოლიტიკური დოქტრინა ჯერ არავის მოუგონია, ყოველ დოქტრინის წინაშე, რაც უნდა კარგი იყოს იგი, ცხოვრება ადრე თუ გვიან დააყენებს საკითხს შეგუებისას ახალ პირობებისა და გარემოებასთან. მაგრამ ეს პრობლემა, მცოდნე და გამოცდილი პირების მიერ უნდა იქნეს გადაწყვეტილი და არა ისეთ მეტიჩარა და გაუნათლებელ გიმნაზიელის მიერ როგორც არის ბ. ელისე პატარძე. მან ჯერ უნდა ისწავლოს მეცნიერების ანბანი, სანამ ასეთ უძნელეს საკითხებს მოჰკიდებს ხელსა. დემოკრატია თანა სდევს ფატალურად ერთი საშიშროება — შესაძლებლობა უმეცრებისა და უვიცების ტრიუმფისა. საუბედროდ ამის მაგალითი ეროვნულ დემოკრატიულ პარტიამ მოგვცა, რადგან მას სათავეში ასათიანები, პატარძეები და აბულაძეები მოექცნენ.

არ უარვყოფ რა ეროვნულ დემოკრატიულ დოქტრინაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის საჭიროებას, მით უმეტეს, რომ საქართველოს ეს დოქტრინა პოლიტიკურ ლიბერალიზმად მოეწონა ვულგარულის, რუდიმენტალურის, ცალმხრივ მანჩესტერიანული სახით, მე მაინც ვფიქრობ, რომ სანამ ეროვნული დემოკრატია არის ეროვნული დემოკრატია, მას საფუძვლად უნდა ედვას იდეა მოქალაქის, როგორც სახელმწიფოს იდეალურ ბაზის, მაშასადამე პრინციპი ხალხის სუვერენიტეტის და პოლიტიკურ თავისუფლების. ჩვენთვის ვინც ჟურნალ „კავკასიას“ თანაუგრძნობთ, ასეთი კონცეპცია ლოლიკურად გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ ჟურნალ „კავკასია“ იცავს იდეას კავკასიის კონფედერაციისას. კონფედერაცია კი, მით უმეტეს როდესაც იგი წარმოადგენს ფორმას სხვა და სხვა ერთა თანამშრომლობისას, სრულიად შეუთავსებელია დიქტატურასთან.


ჩვენ, რასაკვირველია, სავსებით ვიზიარებთ ჟურნალ „კავკასია“ს ორიენტაციას. კავკასიის ერთა განთავისუფლების იმედებს ჩვენ ამაზე ვამყარებთ და არა მეორე და მესამე ინტერნაციონალის სოლიდარულ თანამშრომლობაზე; მხოლოდ ჩვენს პროგრამაში სრულებით არ შედის არსებულ დიქტატორების ალაგას სხვა სახის დიქტატორების წამოსკუპება. ჩვენ ვემხრობით იდეას კავკასიის კონფედერაციისას, და კონფედერაცია კი, თუ ის ნამდვილი კონფედერაციაა და არა სტალინისებური თვალთმაქცობა და სიცრუე, ძირფესვიანად ეწინააღმდეგება დიქტა-



ტურის პრინციპს. იდეა კონფედერაციისა შეიცავს ერთის მხრით სახელმწიფოს, ვითარცა ინდივიდთა კრებულს, მეორეს მხრივ იგი არის კავშირი, რომელშიც სახელმწიფონი შედიან. როგორც სახელმწიფოთა კავშირი კონფედერაცია არის სუფთა სახით განხორციელებული სახელმწიფოთა დემოკრატია. ცდა, კონფედერაციის აშენებისა დიქტატურის ნიადაგზე, ნიშნავს თვით კონფედერაციის იდეის დასამარებას, ვინაიდან ასეთი ცდა აუცილებლად იწვევს კონფედერაციაში შესულ ერებში სეპარატისტულ მიდრეკილებას, მიდრეკილებას კავშირიდან სრული გამოყოფისას.

ამრიგად, თუ ვინმე მტკიცედა სდგას ეროვნულ დემოკრატიული მოძღვრების ძირითად პრინციპების ნიადაგზე, ეს ჩვენა ვართ უფრო ეროვნულ დემოკრატები, რომელნიც „კავკასიის“ გარშემო ვიკრიბებით და არა ასათიანები, პატარიძეები და აბულაძეები. ისინი სცდილობენ, ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა ყოველ მხრივ გაათახსირონ, როგორც ორგანიზაციულისა და ტაქტიკურის, ისე დოქტრინალურის მხრივ. დროა პატიოსანმა და სერიოზულმა ეროვნულ დემოკრატებმა ეს გაიგონ და პარტიაში ბიჭ-ბუჭურ და ყალთაბანდურ თარეშს ბოლო მოუღონ.

ვლ. ემუხვარი



ლეონ ტოლსტოი საქართველოში

ლეონ ტოლსტოიმ, როცა ოცდამესამე წელიწადში გადასდგა ფეხი, მოიწადინა თავის ცხოვრების შეცვლა. 1851 წელს 20 აპრილს გაჰყვა თავის მხედარ ძმას ნიკოლოზს, რომელიც მიემგზავრებოდა კავკასიაში. იმ დროს კავკასია რუსებს არა ჰქონდათ მთლად ხელში ჩაგდებული. მათი ქვეყნის და შემოერთებულ საქართველოს საზღვრების შუა ბინადრობდნენ მთელი ტომები, რომელთაც სრულებითაც არა სურდათ დამორჩილებოდნენ რუსებს. პირიქით, თავს მედგრად იცავდნენ. ამიტომ რუსეთის საზღვრებზე გაშენებული იყო მთელი რიგი (ლინია) ყაზახთა სადგომებისა (სტანიციები), საიდანაც რუსობა აწვებოდა ამაყ მთიელებს. ბოლოს ხომ, 1859 წელს, დაეცა სახელოვან შამილის ციხე-სიმაგრე გუნები და თვით მთიელთა უგვირგვინო მეფე, მთის არწივი, ხელში ჩაუვარდა რუსის მხედრობას. აი, ამ საარაკო ქვეყნისაკენ მოიმართებოდა რუსის არისტოკრატის ნებიერი შვილი, ბოლოს გაუბრალოებული, სახელმოხვეჭილი მწერალი-მოაზროვნე. მას სამხედრო სამსახურში შესასვლელად გამოცდა უნდა დაეჭირა. ამიტომ თბილისი აირჩია ბინად. იმავე 1851 წლის 1 ნოემბერს ის უკვე ტფილისში იყო. დაცულია მისი

ფრანგულად დაწერილი წერილი ძალუა ტატიანასთან, რომელშიაც ახალგაზრდა ტოლსტოი ასე ახასიათებს ჩვენს დედა-ქალაქს:

„თბილისი ძლიერ ცივილიზაცია მოხვეჭილი ქალაქია, ჰბაძავს პეტერბურგს, რაც ეხერხება კიდევაც. საზოგადოება რჩეულია და ფრიად მრავალრიცხოვანი. არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლითაც იმდენად ვსარგებლობ, რამდენადაც ამის ნებას მაძლევს ჩემი პატარა შეძლება. ვდგევარ გერმანელთა კოლონიაში. ეს გარეთუბანია, მაგრამ ჩემთვის ორნაირად არის სასარგებლო. ჯერ ერთი, ლამაზი დაბაა, გარემოცული ბალ-ვენახებით. ასე რომ ჰგრძნობ თავს უფრო სოფლად, ვიდრე ქალაქად. (როგორცა სჩანს, ლ. ტ. მდგარა მუშტაიდთან ახლოს; ამ ნაწილს „კოლონკასაც“ ეძახდნენ ერთ დროს). აქ ჯერ კიდევ დიდი სიციხე და კარგი დარია. აქამდინ არც თოვლი, არც ყინვა გვინახავს. მეორე უპირატესობა ის არის, რომ ორ ფრიად სუფთა ოთახში ვაძლევ თვეში ხუთ მანეთს ვერცხლის ფულით, მაშინ როდესაც ქალაქში ამისთანა ბინაში უნდა მეძლია არა ნაკლებ ორმოცი მანეთისა. ამასთანავე მაქვს გერმანულის უფასო პრაქტიკა, წიგნები და დრო მუშაობისათვის, რადგან არავინ მაწუხებს; ასე რომ მოწყენილი არა ვარ“.

ლ. ტოლსტოი ატყობინებს ძალუას, რომ ასრულებს მის რჩევას, სწერს რომანებს. იქნება მაშინ შეუდგა მწერალი კავკასიური შინაარსის მოთხრობების წერას და მაშინვე ჩაისახა შემდეგ დაწერილი „ჰაჯი-მურადი“.

ამ გმირის შესახებ, აი რას აცნობებს თავის ძმას სერგის 1851 წ. 23 დეკემბრის წერილში:

„ვინმე ჰაჯი-მურადი, შამილის შემდეგ მეორე პიროვნება, ამ დღეებში დაჰნებდა რუსის მთავრობას. ეს იყო პირველი მოჯირითე, ვაჟაკი მთელ საჩაჩნოში და ჩაიღინა კი სისაძაგლე.“

ლეონ ტოლსტოიმ სამ თვეზე მეტი დაჰყო თბილისში. დასტოვა 1852 წელს თებერვალში. კავკასიიდან მიწერილ წერილებში მერმინდელი მორალისტ-ჰუმანისტი მოსჩანს სულ სხვანაირად. იმავე ძმას სერგის, მაგალითად, სწერს შემდეგს: „ჩავიცვამ ქურქს ან ჩერქეზულ ჩოხას და შეძლებისამებრ, შეუდგები მხეც და უდრეკ აზიელების ამოწყვეტასო“. იმ წრეს, რომელშიაც ტრიალებდა კავკასიაში, ლ. ტოლსტოი, დაჰყურებდა გულზვიადად. თავის ძმასვე ატყობინებს, რომ თბილისში მარტო სამი ახლო ნაცნობი ჰყავს, მათ შორის პეტერბურგელი ბაგრატიონიო. საზოგადოდ არის ცნობა, რომ მწერალი მეტად გულჩათხრობილი გამოიყურებოდა კავკასიაში ყოფნის დროს. უთუოდ ამ სულიერი მდგომარეობის ბრალია, რომ არავითარი განსაკუთრებული შთაბეჭდილება მან არ მოახდინა ისეთ დაკვირვებულ და განათლებულ პირზე, როგორიც იყო ჩვენი ეროვნული სკოლის დამაარსებელი გენერალი კოსტანტინე მამაცაშვილი, რაც მან პირად საუბრის დროს გაგვიზიარა. ლეონ ტოლსტოის, ჩვენი მოღვაწე ხედებოდა სამხედრო სა-

მსახურის დროს: საარტილერიო უწყებაში. რამდენადაც გვახსოვს, კ. მამაცაშვილს ექვემდებარებოდა ლ. ტოლსტოი, როგორც უფროსს, სამხედრო სუბორდინაციის მიხედვით. განსვენებულმა მამაცაშვილმა, როგორც ვუწყით, ორი საგულისხმო მოგონება დაგვიტოვა ქართველ მგოსან ნიკოლოზ ბარათაშვილის და რუსის მწერალ მიხეილ ლერმონტოვის შესახებ. ლეონ ტოლსტოის რომ სათანადო შთაბეჭდილება მოეხდინა, მის შესახებაც რასმე დაგვიწერდა.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვსთქვათ, რომ კოსტანტინე მამაცაშვილი მრავალმხრივ შესანიშნავი პიროვნება იყო. მის შესახებ ჟურნალ „კვალში“ 1895 წელს (მესამე დასელ მარქსისტების ხელში გადასვლამდე) მოთავსებული გვქონდა ვრცელი წერილი. სწორედ საჭიროა ასეთ მოღვაწეების ხშირი გახსენება, რომ ახალმა თაობამ ნათლად წარმოიდგინოს, თუ რა ბუმბერაზი მომუშავენი ჰყავდა ჩვენს ერს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ აღორძინების ხანაში. ჩვენ როდისმე კიდევ გამოვებაასებით მკითხველს ამ საგანზე.

გრ. დიასამიძე



ფიც - დადებულნი

ეპიზოდები 4 მოქმედებად და 6 სურათად

მე 2 მოქმედება*)

ტყე; ხის ძირას ავთანდილი სუფრასა შლის; ცოტა მოშორებით ხალხია, ზოგნი სხედან, ზოგნიც ფეხზე სდგანან. უცდიან ბელადს.

ავთანდილ — აი აქ მოვა ეხლა ბელადი, და იმას ელაპარაკე.

გიგოლა — ხო, რასაკვირველია, აქ დავიციდი.

ავთანდილ — (თავისთვის) ეს დოქი აქ დავდო, თორემ ბელადსა ორი დღეა პირში ლუკმა პური არ ჩაუდია. ერთი რომ მოვა, უნდა გემოზე გავაძლო, იმის სულის კირიმე იმისა და (პაუზა). აი დედასა, რა ბელადი გვყამს, ნამდვილი, მკვიდრი მშობელია, სულ ჩვენზე ფიქრობს, მაშა!

გიგოლა — მართლა და ძალიან დიდი ბრძოლა იყო დუშეთთან. დუშეთს გამოვიარე, წინ ჩეკისტები მხედებოდნენ დაოთხილები, ეპეი როგორ გარბოდნენ და.

ავთანდილ — მაშა, მა რა გგონია შეილონანასა, ცოტა ხანიც დაიცა-

*) იხ. „კავკასია“ № 7—14.

დე და, კომუნისტებია თუ რალაც ჩემი ფეხები, დედას უტირებს ჩვენი ბელადი იმათა.

ბებერი-ყრმით — ღმერთმა გისმინოს, შვილო, ღმერთმა. ეხ, (პაუზა) ეს პირველი და არც უკანასკნელი არის, მე მგონი, რამდენი გაჭირვება გამოუვლია ამ ჩვენ ქართველობასა და! მახსოვს, პატარა ბლარტი ვიყავი, პაპაჩემი, მუხლთ დამისვამდა და მიამბობდა ხოლმე, თუ რა ომები ყოფილა წინათა, და გასაკვირი ის არი, კაცო, ჰოდე და იმას ვამბობდი და, სულ უმეტესი ჩვენ ვიმარჯვებდით ხოლმე განა, ჰაი დედასა.

ავთანდილ — მაშინა, ბიძია, სხვა იყო, ეხლა სულ სხვაა. მაშინა, თურმე, ერთი მეორესა ხმალ და ხმალ იწვევდნენ. ეხლა, ბიძია, დაწყევლა ღმერთმა, პულამოტრია თუ რალაც ჯანაბა, რო დაგიდგამენ, სულ ბრეს გაგაყრეინებენ, მაშა როგორია?

ხევსურა — (მარტიას ძმა) პულამოტრია რა არს ჩემ ფრანგულაისთან, რაისა მაცდურობ.

ავთანდილ — ამას შეხეთ რავექნა, ახლა ბიჭოსა შენა, ესე გგონია მეფე ერეკლეს ჯარში იყვე, ჰოდა რა, გუშინ წინ ვერ უყურე, ცხრა მუხებში? აი დედასა, გენახა კურკაი! რო დაუჭირა პულამოტრი ჩეკიტები, გაქცევასაც კი ვერ აწრობდნენ განა. როგორია, ჰა!

(შემოდის დიაკვანი რაზმულად აცვია; გლეხებს თავს უკრავს, ისინიც უპასუხებენ).

დიაკვანი — აქა მშვიდობა, ჯერ ბელადი არ ჩამოსულა აქეთა?

ავთანდილი — არა, ხვთის კაცო, აიქ არიან (ხელს გაიშვერს) ჩასაფრებული, ამბობენ რომაო, ჩეკიტებს მოშველება უნდა მოუვიდეთო, და იქ უცდიან.

დიაკვანი — არაფერი მოშველება არ მოუვათ. დუშეთიდან დამიჭირეს გზა გვაჩვენეო, მე გზა აუბნიე და გამოვიპარე. ეხლა ბელადს უნდა შევატყობინო.

ავთანდილ — აი დედასა, მართლა რო ღვთის კაცი ხარ, შენ კი გენაცვა, შენა. ცოტა დავასვენოთ ბელადი, თორე დაიღალა.

დიაკვანი — ჰო, დიახაც რო დაიღალა მაშ. მივდივარ (გადის).

ავთანდილ — ხალხო, დაიცათ, ყურთა გდება იყვეს განა, ეხლა ხოლმედა, ბელადი რო მოვა, კრინტი არავინ დაძრათ, თორემა, ვაი თქვენი ბრალი; ჯერა პური ჭამოს და მერე ყველას თითონ დაგკითხამთ. გაიგეთ თუ არა, ჰა?

ხალხი — (ერთხმად) მაშა, მაშა, როგორ არ გავიგეთ.

ავთანდილ — ჰოდა, მაშ ეგრე, აგერა, მოდიან კიდევ.

(შემოდინ ბელადი და რაზმელები შეიარაღებულნი)

ბელადი — აქა მშვიდობა. გამარჯვება თქვენი.

ხალხი — (წამოხტებიან, ქუდს მოიხდიან) გამარჯვება ნუ მოგაკლოს ღმერთმა, ჩვენო ბელადო.

ბელადი — რაზედ გარჯილხართ, ჩემო მეგობრებო?

- ბებერი-ყრმით** — ჩემო ბელადო, ჯერ დაღლილი ბრძანდები, პურ წაინტვრიე, მერე ყველას მოგახსენებთ სათითაოთა.
- ავთანდილ** — აქ დაბრძანდი, ბელადო (ბელადი და რაზმელები სხდებიან).
- ბელადი** — ეს კარგი სუფრა გაგიშლია ავთანდილ, სად იშოვნე, ბიჭო, ამდენი სანოვაგე, ხომ არავის წაართვი, სწორედ მითხარი.
- ავთანდილ** — არა შენი ჭირიმე, როგორ წავართმევდი, შენ აკი გვაწავლე ქრისტიანს არ წაართვათო, ჰოდა მეც სომხიანთა გავიარე დუშეთშია (კეფას იფხანს) და უთხარი შემოგვწირეთ მეთქი, იმის შვილი ქალაქს ჩეკიტია.
- ნოდარა** — სომხისა აღბად გემრიელი იქნება.
- ბელადი** — (წყრომით) ეს პირველი და უკანასკნელი იყოს, სომეხია თუ თათარი, არავის წაართვათ მეთქი, გესმით, ყაჩაღები ხომ არა ხართ!
- ავთანდილ** — მესმის შენი კვნესა მე!
- დიაკვანი** — ეს, ბელადო, სომხისაა თუ ქართველისა, ეს პური შეგერგება, საქართველოს მიწა-წყალზე მოსულია, შენი ჭირიმე, და რაც კი საქართველოსია, ყველა შენ გენაცვალოს, ჩემო ბელადო.
- ბალადი** — არა, ჩემო დიაკვანო, ნაძარცვ-ნაგლეჯი ნურა გვინდა რა, და ჩვენ საქმეს უამისოდაც წინ წავწევთ. (პაუზა) შენ შაქრო, წაიყვა ორი კაცი, როცა პურის ქამა გაათავო, და შესცვალე არჩილი, იმანაც ისაღილოს. შენ, გივი, თბილისს წახვალ, ნახშირს ჩაიტან და წერილს გადასცემ, ხომ იცი, საცა უკანასკნელად იყავ. შენ, გიორგი, გორს წახვალ და ეტყვი იასეს, რომ ორშაბათს შეგვიერთდნენ მუხრანის ბოლოს. ეხლა კი აქაურობას მოუაროთ. თქვენ რაზე გარჯილხართ, ჩემო ბებერო?
- (ავთანდილ ნელ ნელა დგება და გადის).
- ბებერი** — არა, შენი ჭირიმე, ჯერ ისაღილე კიდე. დრო გვაქვს, შენ გენაცვა.
- ბელადი** — არა უშავს რა, მე გავათავე, მომიყე შენი დარღები, ჩემო ბებერო.
- ბებერი** — (წინ წამოდგება) ეჰ, ჩემო ბელადო, ხალხი შენ გიყურებს, შენგან გამოელის სამშობლოს ხსნასა. ჩემ დარღებ თუ იკითხამ, დარღები ზღვასავით გულს შემამდგომია. აი, შენი ჭირიმე, ეს ექვსი წელიწადია ჩემ თავს ვარამი არ მოშორებია. ხოდა, შენი კვნესა მე, რა გაგიგრძელო, ექვსი ტალიკი ბიჭი მყავდა, მტერს შეშურდებოდა, როცა ერთად სამკელად გამოვიდოდნენ. სოფელს პირველი კაცი ვიყავი, შენი ჭირიმე. დიდი ხანი არ მამოგინეს, სიცოცხლე ჩამიშხამეს, ოჯახი დამინგრიეს, — კულაკიაო. როგორც გაუმადლარი ორბი კრუხ-წიწილას თავს დაატყდება და ააწიოკებს, ისე მეც ამაწიოკეს. ხუთი ბიჭი წამართვეს, ხელ-ფეხი გაუკრეს და თითქმის თვალ-

წინ დამიხვრიტეს. აი დედასა, ლაჩრად დამიხოცეს. ჩემმა ბებერმა დარდს ვერ გაუძლო და იმ დღესვე გარდაიცვალა. (პირჯვარს ისახავს) აი, ეს მეექვსე ბლარტი შემრჩა, მართალია პატარა არის, შენი ჭირიმე, მაგრამა ყოჩალია, თავის დღეში ამითვინ არ მითქვამ ყოჩალი ხარ მეთქი, ეხლა შენ გეუბნები, ყოჩალია. აიყვანე, შენი კვნესა მე, თუ ამასაც სიკვდილი უწერია, სამშობლოს მაინც შეეწიროს. თავის ძმებით ხელ-ფეხ შეკრულს მაინც არ დამიხვრიტავენ. თავის ძმების სისხლსაც აიღებს, შენი ჭირიმე. მაშ სხვა რა ვქნა, გენაცვა, მე თითონ რომ ომიანობა შემეძლოს, მეც გვერდით ამოგიდგებოდი, ისე იქნებ გამოგადგე. წამოიწი შვილო (თავის შვილს მიუბრუნდება) ბელადს დაენახვე.

ბელადი — კობტა ბიჭი გყოლია. კარგი, ჩემო ბებერო, და ბრძოლა რომ წავაგო?

ბებერი — შენი კვნესა მე, სამშობლოს სისხლი თავის დღეში ტყუილა არ დაიკარგება. და თუ წავაგეთ, ესეც ჩვენი ყისმათი ყოფილა, რას ვიზამთ.

ბელადი — დარწმუნებული იყავ, რომ შენ შვილს ისე გაუფრთხილდები, როგორც ჩემსას.

ბებერი — არა, შენი ჭირიმე, შვილს გასაფრთხილებლად არ გაძლევ, თუ მოკვდება სამშობლოსათვის მოკვდება, არა ჩემო ტარიელა? (შვილს მიმართავს).

ტარიელ — მე სიკვდილისა, ბელადო, არ მეშინია.

ბელადი — რამდენი წლისა ხარ, შვილო?

ტარიელ — თექვსმეტისა, მეჩვიდმეტეში, შენი ჭირიმე (მედიდურად).

ბებერი — აბა, შვილო, ეხლა წავალ. დედიშენის ციღვან ლოცვა და ჩემი, ღმერთმა ნუ მოგაკლოს (ემშვიდობება შვილს, ბელადს ხელს ართმევს. ხელზე უნდა აკოცოს, ბელადი ნებას არ აძლევს. გადის).

ბელადი — შენ? დაიცა, დაიცა, შენ რაღა გინდა აქა, გიგოლ?

გიგოლა — ჩემი თავგადასავალი, (ქუდს იხდის, წინ წამოდგება) ბელადო პატარაა. მეც კულაკი ვარ, რას ვიზამ, შენთან წამოველ, მეც მინდა ვიომო, შენი ჭირიმე.

ბელადი — შენი დუქან-არღანი და ყანწები, თოფზე გინდა გასცვალო?

გიგოლა — აღარაფერი მაქვს, შენი ჭირიმე, ყველა წამართვეს, ჩეკაში ჩამაგდეს, მერე მითხრეს რომაო, მანგლისიდან უნდა გადასახლდეო. მეც ამაზე კაი ალაგას სად გადავსახლდებოდი, შენთან წამოველ.

ბელადი — ცოლ-შვილი რა უყავ?

გიგოლა — ძმასთან დავტოვე, შენი ჭირიმე.

ბელადი — მაშ ომისა არ გეშინია?

გიგოლა — ეხ, ბელადო, ომისა კი არა, ჩეკის შემდეგ, ჯოჯოხეთისაც არ მეშინია.

ბელადი — კარგი, ჩემო გიგოლ, დარჩი.

(ბელადი ხევსურებს მიუბრუნდება).

ბელადი — ხევსურნო, თქვენ რაის გარჯილხართ?

1-ლი ხევსური — ჩვენაი, შენი ჭირიმე, გვინდა შენთან ერთად ვიომოთ, მთელი ხევსურნი ფებს ვდგავართ, შენ დაძახილ ველით. ხევის თავმაი დამაბარა, შენ დროშის ქვეშ ომის წინ გავლაი გვინდაო.

ბელადი — (აქეთ ხალხისკენ) ღმერთო ჩემო, დროშის ქვეშ გავლა, თუ არ გავიმარჯვე ხომ ყველა ხევსურთ სიკვდილსა ნიშნავს. (მიუბრუნდება ხევსურთ) არა, ჩემო კარგო, თქვენ ერეკლე მეფემ გაგატარათ დროშის ქვეშ, და ფიციც იმასთანა გაქვთ დადებული. დროშის ქვეშ გავლა საჭირო აღარ არის. ისე მოგვეშველეთ.

(შემოდის ავთანდილი, შემოჰყავს ქალი და კაცი. ქალი ლამაზია მეტად. კაცი გადაცმული აგენტია. ფარსადანი).

ავთანდილ — ბელადო, აი ეს ხალხი ბილიკზე დავიჭირე, ჰოდა აქ მოგვარე, რა ვიცი, იქნებ შპიონები არიან.

ფარსადან — ბელადო, ჩვენ თქვენ კვალს ვეძებდით, მადლობა ღმერთს, ვიპოვნეთ კიდეც.

ბელადი — ჩემი კვალი რაში დაგჭირდათ?

ქალი — დაგვიფარე გასაჭირისაგან ბელადო (მუდარის ხმით).

ფარსადან — დიახაც, რომ დაგვიფარე, ბელადო. დაქერას გვიპირებდნენ, მე და ჩემს დას, და აქ მოვასწარით გამოქცევა.

ბელადი — დაქერას (უნდობლად) ჰო, ჰმმ, რისთვის?

ფარსადან — არალეგალურ მუშაობისათვის.

ავთანდილ — რა ვიცი, ბელადო, მაგრამა, ჰოდა რაღაცა არ მომწონს ეს ხალხი.

ბელადი — შენ გაჩუმდი, ავთანდილ.

ფარსადან — მე გავაკეთებ, ბელადო, რაცა გსურს, ოღონდ უკან ნუ დაგვაბრუნებ, ჩემი და-კი სამარაგოს გაუძღვება, თუ ნებას მისცემ.

ავთანდილ — ამას არ უყურებ, რა ვქნა, როგორ თუ სამარაგოსაო, მე რა, ვირები გინდა რო ვქედო, თუ როგორ არი შენი საქმეი, ამას არ უყურებ ერთი, შუაზე რო გასკდე, ბელადის საქმელი მე უნდა გავაკეთო, როგორც აქამდე ვაკეთებდი, გაიგე შენა?

ბელადი — გეყოფა მეთქი!

ავთანდილ — ჰო, შენი ჭირიმე. ამას დამიხედეთ, რა ვქნა (თავისთვის)

ბელადი — როგორც სჩანს, თქვენ დას სანოვაგეს ვერ ჩავაბარებ, ჩემო მეგობარო, ავთანდილა გაგვიწყობა. თქვენი და შეგვიძლია მოვათავსოთ ერთი ხევსურის ოჯახში. თქვენ, თუ გნებავთ, იარაღით ხელში, ჩვენთან იომეთ.

ქალი — თუ ნებას მამცემთ, ბელადო, თქვენთან დავრჩები.
(ამ დროს შემოდინან არჩილ და ნოდარ)

არჩილ — შეხე, ბიჭო, რა ქალია, ღმერთო, ვინ არის ნეტავ?

ნოდარ — რომელ ქალზე ლაპარაკობ, ხომ არ გადაირიე.

არჩილ — გაახილე ეგ ბრმა თვალები, ვერა ჰხედავ?

ნოდარ — კაცო, დაიცა სათვალეები გავიკეთო, თორემ მღვდლათ მეჩვენება

არჩილ — რა მშვენიერია, ღმერთო, ესე მგონია ციდან ჩამოვარდნილ ვარსკვლავსა ჰგავს მეთქი.

ნოდარ — ჰო, მართლაც რა ლამაზი ყოფილა.

ბელადი — მაშ ეგრე, თუ ვერ აიტანთ გაჭირვებას, ქალბატონო, მაშინ რა ვიცი, იქნებ სხვა ალაგი გიპოვოთ. ჰო, არჩილ, ეს ხალხი დააბინავე და მერე აქ მოდი.

არჩილ — მესმის, ბელადო.

ავთანდილ — ჰოდა, ბელადო, ძალიან გავჯავრდებოდი ღმერთმანი, თუ მზარეულობას წამართმევდი.

ნოდარ — შენმა სიცოცხლემ მზარეულობას, გგონი ყოველ დღე წვა-დების წვაში ამოგდიოდეს სული. ეს ერთი თვეა ხორცი თვალით არ გვინახავს, ეს კი გაიძახის, მზარეულობა არ წამართვათო. აი მოკვდი, მოკვდი ავთანდილ.

ავთანდილ — ჰოდა შენა სულ ეგრე უნდა დამცინო ხოლმე, შე ბრუტიანო, შენა ჰა, იმ დღესაც რო შუა გზიდან არ მომეტრია-ლებინე, დღეს შენ გაუხდებოდი ბალშიეიკებსა სამწვადეი, მაშა, ბრუტიანო შენა.

ბელადი — ბიჭო, გეხუმრება, რასა ბრაზობ.

ავთანდილ — არა, შენი ჭირიმე, ზაკონ-კანონით არა ლაპარაკობს ნოდარაი და იმითვინ უთხარი.

ბელადი — მაშ ეგრე, მე ცოტას დავიძინებ, და უნდა გზას გაუდგეთ. მერე და, თქვენც ცოტა რომ დაისვენოთ, მე მგონი არ გაწყენთ. (მიდის. ავთანდილ უკან მისდევს). შენ სალა მოდინხარ (ავთანდილს), როგორც ჩვეულებრივ გინდა მიყარაულ-ლო, ჰა?

ავთანდილ — ჰო, შენ გენაცვა, შენს მეტი ჩვენ ვილა გვაბადია, რო შენც არ გიყარაულო (გადიან. ნოდარ ხის ქვეშ მიწვება. შემოდინან სიმონ, გივი, არჩილ, მიუსხდებიან ნოდარს).

ნოდარ — (არჩილს) შენი მზეთუნახავი დააბინავე?

არჩილ — ოხ, იმას კი ვენაცვალე, მითხრა: მაყვალა მქვიაო. მართლაც რომ მაყვალავით თვალები აქვს.

გივი — მართლაც რომ ძალიან ლამაზია და მე მგონი, სახიფათოც უნდა იყვეს.

სიმონ — (ბელადის თანაშემწე) არჩილ, ფრთხილად იყავ, ქალმა კი-



- სერი არ მოგტეხოს, ხომ იცი რა მდგომარეობაშიც ვიმყოფებით. ქალი ჩვენთვის მიუწვდომელი უნდა იყვეს.
- არჩილ** — შენი ჭირიმე, სიმონ, რა ვქნა, ერთი დანახვით სულ გადავირიე, იქნებ შენ მართალიცა ხარ.
- სიმონ** — (აქეთ გამოიყვანს ნოდარს) ნოდარ აქ მოდი, რამე გითხრა. ნოდარ, ყური უგდე არჩილს, გესმის, ხომ იცი ქალებზე რანაირი გადარეულიც არის.
- ნოდარ** — დარდი ნუ გაქვს, სიმონ.
- სიმონ** — გივი, წავიდეთ, შენი წასვლის დროც არის. სანამდის ნახ-შირს დაგიმზადებენ, შენ გადაიცვი. წამოდი, ბელადი წერილს მოგცემს. (გადიან. მეორე მხრიდან შემოდის მაყვალა, არჩილი ზეზე წამოხტება).
- არჩილ** — აქ მობრძანდით, მაყვალო. რა მშვენიერი სახელი გაქვთ, მთელს თქვენს ნაზ არსებას ისე შეეფერება, რომ მე მგონი ბადალსაც ვერას ვნახავდი.
- მაყვალა** — ვითომ?
- არჩილ** — ყველა წმინდანებს გეფიცებით.
- მაყვალა** — რა მშვენიერი ალაგია, პირველად ვარ ამისთანა ლამაზ ალაგებში.
- არჩილ** — თქვენი სიმშვენიერე თვით ალაგს ალამაზებს. თქვენ სილამაზეს ყველგან სიცოცხლე შეაქვს. ასე მგონია, აი, იმ პიტალო კლდეებს რომ უყურებ, ისინიც კი მილიმიან მეთქი.
- ნოდარ** — (თავისთვის) ბიჭოს, ეს ძალიან შეტოპა, აი.
- მაყვალა** — ეგრე ძალიან მოგწონვართ? (იციინის) ჰა, ჰა, ჰა!
- არჩილ** — არ ვიცი, დაგინახეთ თუ არა, როგორც გაბრუებული რაიმე სურნელით, ისე დავითვერ თქვენი სილამაზით, დავიბენ. მე მგონია, ჩემ თავს მირჩევნიხართ, ჩემო მაყვალო, უთქვენოდ ჩემი სიცოცხლე (გრძნობით), ალბად სიკვდილზე მწარე იქნებოდა.
- ნოდარ** — ვაიმე, დედა ჩემო, ეხლა კი დავიღუპეთ!
- მაყვალა** — მე კი მგონია, თქვენა სცდებით: ქალები დიდი ხანია არ გინახავთ და მე მზეთუნახავად გეჩვენებით; ეგრე არ არის, ბატონო, ბატონო?
- არჩილ** — ნოდარ!
- მაყვალა** — ბატონო ნოდარ?
- ნოდარ** — მეც ეგრევე უთხარი, ქალბატონო, მაგრამ მაგას რას გააგონებ.
- მაყვალა** — ჰა, ჰა, ჰა! აი, თქვენი ამხანაგი ცხოვრებას უფრო დაკვირვებით უდგება.
- არჩილ** — არა, მაყვალა, მაგას ბევრი არა მოეთხოვება რა, პირველად რომ დაგინახა, მღვდელი ეგონე.
- მაყვალა** — (იციინის) მღვდელიო?!

არჩილ — დიახ, ცოტა ვერა ხედავს კარგად. (ტარიელა შემოვარდება).

ტარიელ — ბატონო ნოდარა, ბელადი გეძახის, ჩქარაო.

ნოდარ — (მიდის) მოვდივარ.

არჩილ — ჩემო მაყვალა, მქონდეს იმედი?

მაყვალა — რისა?

არჩილ — თქვენი სიყვარულისა.

მაყვალა — (იციინის) რა უცნაური ხართ.

არჩილ — (მიუახლოვდება, ხელს დაუჭერს) მე მეტი არ ძალმიძს, მიყვარხარ გენაცვალე მაყვალო. გითხრა თუ რა უზომოდ შემიყვარდი, ხელს რომ გიჭერ, ესე მგონია ელექტრონის ნაკადი მივლის სხეულში მეთქი. არა, ჩამო მაყვალო, ან ჩემი უნდა იყვე, ან არ ვიცი (უკოცნის ხელებს) რას ჩავიდენ. რაც გინდა, როგორც გინდა ისე დაგიმტკიცებ სიყვარულს, ოღონდ მითხარი, მითხარი შენი სიტყვა.

მაყვალა — ფრთხილად, არ დაგვინახონ.

არჩილ — მაშ, ჩემო, შემიყვარებ?

მაყვალა — რა ვიცი, თუ ჭკვიანად იქნები....

არჩილ — (ალარ აცლის) შენ კი გენაცვალე (ეხვევა და ხანგრძლივ ჰკოცნის. უცებ მაყვალა გაუსხლტება და გარბის. გადის სცენიდან)

არჩილ — უხ! შენ კი გენაცვა. ღმერთო, რა ბედი მქონია და (შემოდის ნოდარი).

ნოდარ — ბიჭო, შენი სირინოზი სად გაუშვი?

არჩილ — (სიხარულით) შე უბედურო, რო გენახა რა მოხდა, უიმე დედა!

ნოდარა — სილა ხომ არ გაგაწნა, ცოტა ნადირობა იცი ხოლმე.

არჩილ — სილა კი არა ბიჭო, მეც უყვარვარ მგონი.

ნოდარ — ბიჭო არჩილ, ჭკუით იყავ, ბელადმა არ გაგიგოს, თორემ ისეთ სიყვარულს მოგცემს, სულ ბუზანკლები გეხვეოდეს. (ხმაურობა ისმის. შემოცვივდება რამოდენიმე გლეხი).

არჩილ — რა ამბავია, რა არის?

1-ლი გლეხი — ბელადი გვინდა, ჩქარა, შენი ჭირიმე.

ნოდარ — რა გინდათ, არ იტყვიან რავექნა?

2-რე გლეხი — აგე გენაცვა, გაიხედე, აიმ სოფელს ხო ხედამ, აგე, აგე, საყდარს გახედე!

არჩილ — რა არის მერე, ხალხი შემოსევია საყდარსა. (შემოდის ბელადი და რამდენიმე რაზმელი. გლეხები ქუდებს იხდიან).

გლეხები — გვიშველეთ, ბელადო

ბელადი — (წყნარად) რა მოხდა, მითხარით. (ერთი მოხუცი გლეხი წინ წამოიწევს).

გლეხი — ბელადო, აღარა შეგვარჩინეს, ყველა წაგვართვეს, დაგვალარიბეს. ეხლა რჯულზე გამოილაშქრეს. აგე, შენი ჭირიმე, (თითით აჩვენებს) გაიხედე, აგე ხალხს ხომ უყურებ, ძალათი

გამორეკეს სახლებიდანა, გვეუბნებიან, თქვენ ღმერთს თუ
 ძალა აქვსო, ეკლესიას ჯვარი უნდა მოვხსნათო და თქვენი
 ღმერთი გაგვიმკლავდესო. აგე, აგე, ადის კიდევ ვილაც კო-
 მუნია ვილაცაი. ოხ, ღმერთო, შენ დაგვიფარე!

ბელადი — არჩილ, გასწი შემოიტა თოფი ჩქარა, (არჩილი გარბის, შე-
 მოაქვს თოფი) აბა, არ დააცდინო, თორემ ვაი შენს ტყავს!

(არჩილი თოფს უმიზნებს. დაჭიმულობა არის საერთო. გავარ-
 დება თოფი).

1-ლი გლეხი — ჩამოვარდა, ჩამოვარდა, აი, შენი მარჯვენის ჭირიმე,
 შენი. ეჰე, რა სროლა ცოდნია დედასა, ეჰე!

ავთანდილ — ეგ რა არი რა ვქნა, გენახა გუშინა, ეშმაკის ხიდზედა
 ერთი რუსი არ გაუშვა. პანტასავით ძირსა ყრიდა, მაშა!

2-რე გლეხი — ბიჭო, ბიჭო, გახედე მეორე ადის!

ბელადი — დააცადე, ბოლომდის ავიდეს.

არჩილ — მესმის!

1-ლი გლეხი — ეჰე, შუაზეა.

2-რე გლეხი — ოჰო, შუას გადასცდა.

3-მე გლეხი — დაიც, დაიც, ადი, ადი, დედას გიტირებს არჩილაი!
 (არჩილს მოუბრუნდება) არა გენაცვა?

ავთანდილ — იქ მყოფ ხალხს ეგონება ღმერთი ყრის დაბლაო.

4-ხე გლეხი — (არჩილს მიუახლოვდება) შენი ჭირიმე, არჩილა, არ
 დაგიცდეს, ოჰო, რარი ახლა.

3-მე გლეხი — ჭუჭყიანი ხელი წაატანა, ხედამ? შენი მამის სული კი
 წაწყდა შენი! (არჩილ უმიზნებს. გავარდება).

გლეხები — (სიხარულით) ეგეც ჩამოვარდა, ეგეცა!

1-ლი გლეხი — ბიჭოსა, გახე, გახე, მესამე ადის კაცო!

ავთანდილ — ნუ გეშინიათ, არჩილაი მაგასაც ჩამააგდებს.

2-რე გლეხი — შუას მიუახლოვდა.

3-მე გლეხი — ბიჭო, გაჩერდა.

4-ხე გლეხი — რასა შვება რავქნა, ეგ მამაძალი აღარ ადის?

1-ლი გლეხი — გაქრა, გაქრა ბელადის აზრმა, შენ კი გენაცვა ბელა-
 დო.

2-რე გლეხი — შეშინდა, შეშინდა, დაბლა ჩამოდის. (გლეხები სიხა-
 რულით ერთმანეთს ეხვევიან. სიმღერას ეუბნებიან ბელადს
 კახურ მრავალ ჟამიერის კილოთი).

ღმერთო ბელადი გვიცოცხლე, მისცეს ადამის დღენია
 რუსები ბევრი დაჟლიტოს
 ქართველებს მისცეს ლხინია.
 ბელადსა შენ რას უყურებ
 გამოიყურებს ბრაზითა
 გული თაფლისა უგულობს,
 გლებ შველის, თავის რაზმითა

დიდსა გიორგის დავბაძამ
სააკაძისა გვარისა
ბელადი ქართლის წინმძღოლი
რუსს რო შეება ჯვართა

ფარდა

მოქმედება მისამე

(ფარდის ახლისას, ოთახი ჩეკაში. ტუსალებს დაჰკითხავენ).

უფროსი — მაშ ეგრე, საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიდის.

1-ლი ჩეკისტი — ჰო, არა უშავს, ამხანაგი ფარსადანი და მისი მეუღლე მართლაც რომ თავგანწირული და ნამდვილი კომუნისტები არიან. უსათუოდ, ამხანაგო, ამ საქმის შემდეგ, ისინი უნდა დააწინაუროთ.

უფროსი — რას იწერება?

1-ლი ჩეკისტი — არაფერს ისეთს შესანიშნავს, გარდა იმისა, რომ სამი კაცი დავიჭირეთ იმის ცნობით და ისიც, გადაცმულ მენახშირემ ვისაც წერილი მოუტანა.

უფროსი — ჰო, დაჰკითხეთ თუ არა, ან რომელი გამომძიებელი არჩევს ამ საქმეს?

1-ლი ჩეკისტი — პოლოსოვი და მე. იქნებ ინებოთ ამხ. უფროსო, დაესწროთ დაკითხვაზე, ეხლა უნდა დამეკითხა დატყვევებულები.

უფროსი — რასაკვირველია, აბა შემოიყვანონ ეგ ბულბულები, ვნახოთ რას ილაღადებენ.

1-ლი ჩეკისტი — მესმის! (გადის. შემოჰყავთ ახოვანი ვაჟკაცი. მარტიას ძმა არის ხევსური. ორი ჯარის კაცი აქეთ იქით უდგას. ხევსურს ხელები შეკრული აქვს).

უფროსი — შენ ვინა ხარ, მეგობარო?

ხევსური — რა შენი ჭკვალს საქმე არს ვინცა ვარ

უფროსი — აჰა, ჯერ არ იცი თუ სადა ხარ, მოითმინე, მოითმინე.


ხევსური — მე არსად გავრბივარ.

1-ლი ჩეკისტი — გაწყვიტე ხმა, როცა გელაპარაკებიან.

ხევსური — ხმა გავწყვიტო, საქონელი ხომ არა ვარ, კაცი ვარ, უნდა ვილაპარაკო

უფროსი — შენ იცი რაზე ხარ დაჭერილი?

ხევსური — ეშმაკმა რო შენი თავი არ იცის, რა ვიცი. ერბოს ვყიდა-მდი და დამიჭირეს.



- უფროსი** — მაშ შენ, ბელადს რო ეძახიან, არც იმას იცნობ ჰა?
- ხევსური** — პირი გამოირეცხე ბელადის ხსენებაზე, როგორ არ ვიცნობ. ვიცნობ და კაი მეგობარიცა ვარ.
- 1-ლი ჩეკისტი** — (მივა და ანთებულ პაპიროზს ლოყაზე დაადებს) მაშ შენი მეგობარია ჰა, რატომ ეხლა არ გშველის?
- ხევსური** — მე როგორც გატყობ შენ ხელ შეკრულზე ძალიან მარდი ჰყოფილხარ.
- 1-ლი ჩეკისტი** — გაჩუმდი, შე მამაძაღლო. (გაჰკრავს სახეში).
- ხევსური** — ეს რა მიყო, ვაჟი შამარცხვინა, დიაცსავ სილა გამკრა, ლაშარის ჯვარო, ეს თოკები გამაწყვეტინე, ამას ანდერძი აუგო. (იწევს, თოკების გაწყვეტა უნდა).
- უფროსი** — დაიცა, დაწყნარდი, თუ გინდა გაგანთავისუფლო, მითხარი ვისთან იყავი აქ რომ ჩამოხველი.
- ხევსური** — ვისთან უნდა ვყოფილიყავ, მე ერბოს ვყიდდი.
- უფროსი** — მაშ არ იტყვი? შენმა ამხანაგმა სუყველა სთქვა.
- ხევსური** — რაის ამბობ, მარტია ვერას იტყოდა, ისაიც ხევსურია.
- უფროსი** — როგორ არა, სუყველა სთქვა, საცა იყავით.
- ხევსური** — აი შევარცხვინე იმაისი ხევსურობა, წუნკლა იყო ყოველთვინ. მე არაფერ ვიტყვი, არაი ვიცი.
- უფროსი** — გათქმევიანებ.
- ხევსური** — ეცადე
- უფროსი** — (გაჰკრავს) გაათრიეთ ეგ ოხერი, დახვრიტეთ! (გაჰყავთ).
- ხევსური** — (გასვლისას) დედაი აგიტირდების, ჩემი ბელადი ამას გაიგებს და არ შეგარჩენს.
- უფროსი** — მეორე შემოიყვით! (შემოჰყავთ გივი) მაშ თქვენ რაზმელი ბრძანდებით, ყოფილი ოფიცერი და ეხლა კი ბანდიტი.
- გივი** — ჩვენ ბანდიტები არა ვართ, ჩვენ ქართველები ვართ.
- უფროსი** — კრინტი. მითხარი კიდევ ვისთან იყავით სანამ დაგიჭერდნენ?
- გივი** — არავისთან.
- უფროსი** — სულ ერთია თქვენ გასვლას არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, დღეს-ხვალ ყველას დაგიჭერთ. თუ სიცოცხლე გინდა, სთქვი, რაც იცი.
- გივი** — მე არაფერი ვიცი, და რომ ვიცოდე კიდევ არას ვიტყვი. მე ქართველი ვარ და ჩვენი ფიცი კი ქვაზე უმაგრესია. ჩვენ ერთნი ვართ და ერთნი კი ყველა ეს. დღეს ჩვენი სიცოცხლის და სიკვდილის ნიშანია, და ვიდრე ცოცხლები ვართ, თქვენი დაუძინებელი მტრები ვიქნებით.
- უფროსი** — მესმის და ისიც ვიცი, ყველანი მალე მკვდრები იქნებით
- გივი** — რადა გგონიათ?
- უფროსი** — აი რად გგონია, თქვენი ყველა ნაბიჯი ეხლა მე ყველა ვიცი, რადგან თქვენ ერთი გამცემი გირევიათ, ვის საშუა-



- ლებითაც დღეს თქვენ აქ იმყოფებით.
- გივი — ხა, ხა, ხა. შენ მაგ ხერხებით ვერ გამომტეხავ.
- უფროსი — დამშვიდებული იყავ, ეს ხერხი არ არის, ეს რამოდენიმე დღეა ხომ შემოგიერთდათ ქალი და კაცი?
- გივი — ღმერთო ჩემო, მერე?
- უფროსი — მერე ისა, ჩემო კარგო, რომ ის განთქმული ჩეკისტია, გაიგე?
- გივი — ოხ, თქვე არამზადებო, წყეულიმც იყავით. მაგრამ ნუ გეშინია ყველას გაიგებს ბელადი და ვაი თქვენ ტყავს მერე.
- 1-ლი ჩეკისტი — იტყვი თუ არა, ბატონო ოფიცერო, რაც სათქმელია?
- უფროსი — ხელი გადაუტრიალეთ, ორთავე ხელები, ეგრე, ეგრე (ორი ჯარისკაცი ხელებს უგრიხავენ). ვისთან მიიტანე კიდევ წერილი, სთქვი.
- გივი — ოჰ, არაფერს ვიტყვი
- უფროსი — მაგრა გადაუგრიხე, მაგრა!
- გივი — (თავისთვის) ღმერთო, მომეცი გაძლება!
- უფროსი — სთქვი!
- გივი — ცოტა დამასვენეთ, ვიტყვი
- უფროსი — გაუშვით
- გივი — უჰ!
- უფროსი — ყურს გიგდებთ
- (მაგიდაზე რევოლვერი დევს. გივი ხელს დაავლებს, უნდა ესროლოს. გატენილი არ არის. შეშინებული უფროსი მაგიდის ქვეშ შეიძვრება. მაშინ გივი რევოლვერს მოატრიალებს და დაჰკრავს ჩეკისტს. ჩეკისტი ეცემა. უფროსი მაგიდის ქვეშიდან ყვირის მოჰკალით! დახვრიტეთ! ჯარისკაცები ეცემიან და მოჰკლავენ გივის. უფროსი მაგიდის ქვეშიდან გამოძვრება).
- უფროსი — აკი ვთქვი, კინალამ დაგვხოცა მეთქი, გაათრიეთ!
- ჩეკისტი — (ნელა დგება),
- უფროსი — ძალიან მაგრა კი დაგცხო, ამხანაგო!
- ჩეკისტი — შემდეგი შემოიყვათ (შემოჰყავთ მარტია)
- უფროსი — აბა, შენ რას იტყვი?
- მარტია — რაი გინდა მკითხე, ყველას გეტყვი
- უფროსი — (ჩეკისტს წასჩურჩულებს) ეს, მე მგონი, ყველაფერს იტყვის, (მარტიას) მითხარი, ბელადს იცნობ?
- მარტია — ერთხელ ვნახე, დუშეთიდან სახლაის რო მივდიოდდი.
- უფროსი — მითხარ ძმობილო, დღეს ამათთან ერთად რომ დაგიჭირეს, კიდევ სად იყავით?
- მარტია — სიონის ეკლესიასთან გავიარეთ. მე გარეთ დამაყენეს, თითონ შიგ შევიდნენ
- უფროსი — სადა?
- მარტია — ეკლესიაში, რავექნა, არ გაიგე!
- უფროსი — შენ რატომ არ შეგიყვანეს?



- მარტია — არ ვიცი, მე მგონია არ მენდვენენ.
- უფროსი — დაიცა, როგორ, შენ მაგათთან არ იყავი?
- მარტია — როგორ არა, შენი ჭირიმე, გივი და ხევსური ცხეთას დამეწიენ. მითხრეს ერთად წავიდეთო. მეც გამოვყე.
- უფროსი — ისე რომ შენ ბელადთან არა ხარ?
- მარტია — ბელადთან რაი დამრჩენია, მე სოფლის მამასახლისი ვარ.
- უფროსი — მერე ხომ იცოდი გივი და ხევსური ვინ იყვნენ, რად გამოყევი?
- მარტია — მაგათ რო არ გამოვყოლოდი ხევსური მამკლავდა. ისეთი დაგვაშინეს ბელადმა და თავის რაზმელებმა, სულ დახოცვას გვემუქრებიან.
- უფროსი — მაშ ისე, რომ შენ იმათთან არა ხარ რალა?
- მარტია — იმათთან რა დამრჩენია, დუშეთის კამისარმა თოფი მაჩუქა, იმაის ამხანაგი ვარ. მე კომუნისტი უფრო ვარ.
- უფროსი — აბა დაიცა, ეხლავე გავიგებ თუ მართალს ამბობ (ტელეფონს რეკავს). ამხანაგო, ჩეკის უფროსი ვარ, ამხანაგო კომისარო, თქვენ მართლა აჩუქეთ თოფი მარტია წიკლაურს? ჰო, ჰო, გმადლობთ, მეტი არაფერი (ათავენს ლაპარაკს). მაშ შენ ჩვენი კაცი ყოფილხარ?
- მარტია — რასაკვირველია.
- უფროსი — ერთი რამ რომ დაგავალო შეასრულებ?
- მარტია — ათი დამავალე! მარტია მოგიკვდა თუ არ შეევასრულებ
- უფროსი — საჩუქარს მიიღებ
- მარტია — აი რეურველი მაჩუქე და რაიც გინდა დამავალე
- უფროსი — გაჩუქებ
- მარტია — რაი უნდა დამავალო?
- უფროსი — აი რაშია საქმე. წადი შენ და ბელადს დაუშეგობრდი, უთხარი იმის კაცი ხარ; იქ ერთი ფარსადანი შეგხვდება, იქ ერთი ქალიც არის, ისიც ჩვენია.
- მარტია — მართალს ამბობ?
- უფროსი — რა იყო, მართალია მაშ!
- მარტია — არა, ისე ძალიან მოგიხერხებია
- უფროსი — ჰოდა შენ რა გევალება, ფარსადანი რომ წერილს მოგცემს ხოლმე, აქ მამიტანე ხოლმე
- მარტია — მერე, იქიდან რო მალ-მალ წამოვალ, მიმიხვდებიან
- უფროსი — სთქვი, ვითომ სახლში მიხვალ ხოლმე და ვერას მიგიხვდებიან. თუ ამას გააკეთებ, იცოდე ბევრ ჯილდოს მიიღებ და კომისრადაც დაგნიშნავ.
- მარტია — ძალიან კარგი, მაგრამა ტყუილა ხომ არა მპირდები?
- უფროსი — რას ამბობ, როგორ თუ ტყუილა, აი ათი თუმანი ჯერ-ჯერობით
- მარტია — ა ის რეურველიც მამეცი რო დამპირდი
- უფროსი — აიღე

- მარტია — (მივარდება სიხარულით) რა კარგია. ჰო, ჩემ ცხენსაც მამ-
ცემთ?
- უფროსი — მაშა, მაშ!
- მარტია — აბა ერთი თხოვნა მაქ, ხევსურას შამახვედრეთ, გულზე გა-
ვხეთქო.
- უფროსი — შემოიყვანეთ ხევსურა (შემოჰყავთ).
- ხევსური — შენ რაიც არ იცოდი, რაი ილაპარაკე?
- მარტია — თვალაიც გაგისკდა ამას უყურებ? (ფულსა და რევოლვერს
აჩვენებს). შენ რო გეთქვა, ამის მიიღებდი
- ხევსურა — ქართველების გამყიდაო, დიაცო!
- მარტია — ხმაი ჩაიწყვიტე ავო ჯიშისავ (ჩეკისტი და უფროსი ამ დროს
ერთმანეთს ელაპარაკებიან. მარტია და ხევსურა ჩუმად ერთ-
მანეთს)
- ხევსურა — არ დაგავიწყდეს ყველაი უამბე
- მარტია — ნუ გეშინია, აქედან გავიდე ყველაის უამბობ. შვიდობით
ძმაო (მარტია უფროსს) ეხლაი გაათრიეთ (გაჰყავთ).
- უფროსი — აბა, ყოჩაღად ჩემო მარტია და დანარჩენი მე ვიცი, შვიდო-
ბით.
- მარტია — შვიდობით უფროსო, ცხენი სად უნდა ვნახო?
- უფროსი — აი ეს გაჩვენებს, ეხლა წადი (მიუთითებს ჯარისკაცზე.
გადიან).

ფარდა

 კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

Chota Roustaveli : « *L'homme à la peau de léopard* » :

„თარგმანი“ გ. გვაზავასი.

ესე ამბავი ქართული, ფრანგულად ნაგაზავები
ვპოვე და ველარ ვიცანი, ისეა ნაგაზავები.

დაიბეჭდა და სამწუხაროა თუ იყიდება კიდევ, ბ-ნ გ. გვაზავას
ფრანგული „თარგმანი“ „ვეფხვის ტყაოსანისა“. სამწუხაროა არა მა-
რტო იმიტომ, რომ იგი ერთნაირად თავისუფალია ფრანგულისა და
ქართული ენის ცოდნისაგან და ტექსტის სისწორისაგან, არამედ უფ-
რო იმიტომ, რომ უცხოელს გააკვირვებს: „ამითი მოგაქვთ თავიო?“.

მართლაც, რა წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მკითხველს — საქა-
რთველოს მეთორმეტე საუკუნის ჰენიაზედ, როცა დღევანდელი პა-
რიზელი „ეპისიეს“ ენით, და ისიც უვარგისით და ბლაგვით, აზრისა
და იდეურ-ფილოსოფიურ მრწამსისა და სიღრმის მიუხვედრებელს,
გრძნობათა სიმალლე-სიფაქიზის გაუგებელს და უპოეზიო ნაღეს გა-
ეცნობა, მკვებარა წინასიტყვაობის შემდეგ? წინასიტყვაობით მაინც
შემწყდარიყო ეს ახალი „ნაწარმოები“, რომ მკითხველს, მიუხე-
დავად შეცდომებისა, უკეთესი შთაბეჭდილება დარჩენოდა უცნობ
„ვეფხვის ტყაოსანზედ“.



დავანებოთ თავი იმას, რომ წიგნის კანზედ აღნიშნულია ფრანგული ტექსტის გვაზავობა და შოთა რუსთაველის ქართველობა კი არა (იქნებ ჩინელია, არაბი, სპარსი ან სხ.), ეს „წვრილმანია“; მაგრამ ვეფხვი რომ „ლეოპარდია“, ეს ხომ თავიდანვე უკარგავს ძალას არა მარტო რუსთაველის მთელ ნაწარმოებს, არამედ იმ საუცხოვო სურათებსაც, ფსიქოლოგიურ განცდებს და შედარებათ, ისე ჰარმონიულად, ლოდიკურად და მთლიანობის დაცვით რომა აქვს შეზავებული შოთას, პოემის მხატვრულ დეტალებში და გამოქანდაკებულ ნაწილებშიაც.

მართლაც, „ლეოპარდი“ იქნება სჯობდეს კიდევაც ფრანგულ „ტიგრს“ ხმოვანობით, მაგრამ რა უნდა უყოთ იმ გარემოებას, რომ ტარიელი — „ვეფხვის ტყაოსანია“, ნესტანდარეჯანის ხასიათისა, სილამაზისა და სიყვარულის ძალის ტრფილით, და არა მარტო, ვსთქვათ, მოქნილობის, თორემ ქრელი კატაც ლამაზი და არა ნაკლებ მოქნილია ხომა? ან იმ სურათისა და ფსიქოლოგიურ განცდათა შედეგობას რა უყოთ, როცა ტარიელი უყურებს ლომისა და ვეფხვის ბრძოლას, ლომსა ჰკლავს და ვეფხვისა „მისგამო კოცნა მოუნდა“*) (891) ე. ი. ნესტან-დარეჯანის მსგავსებით ისევ? თორემ ლეოპარდი ლომთანა რა სწორი თანამბრძოლია; იმ სიმბოლიკასაც რომ თავი დავანებოთ, რომ აღმოსავლეთში ვეფხვი ითვლება „კაცთა მჭამელად“, რომლის სახელს მისტიური შიშით და მოწიწებით დღესაც იხსენიებენ **). საკვირველი ისაა რომ, მიუხედავად ყველა ამისა, ბ-ნი გვაზავა, ლომისა და ვეფხვის მძლავრ სურათში, ლეოპარდს ივიწყებს და სთარგმნის: „ტიგრეს“, რითაც მთელ მის ლეოპარდობას ეკარგება შეთანხმებისა და პროპორციის მნიშვნელობა, რაც შოთას არ მოსვლია, რასაკვირველია (იხ. შენიშვნები).


მაგრამ ეს არაფერი, ტექსტის პირველივე სიტყვა („რომელმან“), პირველივე სტრიქონი, პირველივე სტროფა, „თარგმანში“ შემცდარია, დაქვეითებული და... გავუღვარებული: „რომელმან“, არის სიტყვა განყენებული, უპიროვნო, მიუწვდომელი, როგორც თავისი რწმენითი შინაარსით, ისე სტილის სიმადლით და ფორმის სილამაზით და ბ-ნი გვაზავა „სთარგმნის“: „სე დე სელუი კი...“, როგორც იტყოდა ვინმე „კორდონიე“ და არა რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინოლოგიისა და ლიტერატურული ენის მცოდნე. და სიტყვა „რომელმან“-ის განყენებულობას რომ აძლიერებს შოთას გამოთქმა: „ძალითა მით ძლიერითა“, მთარგმნელს დაუქვეითებია: „პარ სა პროპრ პიუისანს“,

*) 639 — „რომე ვეფხვი შევნიერი სახედ მისად დამისახავს
 ამაღ მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს.

892 — „მომეგონა ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე“;

506 — „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა ვეფხვი პირგამეხებულა“
 ყველგან ვეფხვი; ბ-ნი გვაზავას ხან ვეფხვი და ხან ლეოპარდია.

***) ბ-ნი გვაზავას თუ არა, იქნება მკითხველს ენახოს, მაგ., ვერე-შჩაგინის სურათი, საცა ვეფხვი სწოვს ნეტარების გამომეტყველებით, მისგან მოკლული ადამიანის ტვინსა.



რადგან, არა მარტო სიტყვა მით ვერ გაურჩევია მისით-გან, არამედ არც განსხვავება გამოთქმულ აზრისა. „ზეგარდმო არსნი“, მასა ჰგონია „ლე-ზ-ეტრ“ და ასე, მთელ პირველ სტროფაში, საოცარის გამოქანდაკებითა და ლაკონიურობით გადმოცემული, აღმოსავლურ-დასავლური, იმ დროინდელი, კოსმოგონია-თეოგონია (ეხლა რომ „ეზოტერიზმს“ ეძახიან), სულ ვერ გაუგია და „სთარგმნის“, მეხუთე კლასის მოწაფესავით.

დაახლოვებით ასევე მისდევს დანარჩენ სტროფებსაც („სიკვდილმდე გასატანისა“ = „პურ კე შე ნე სუკომბ პა“ და სხ.), მაგრამ ყველას გარჩევა შორს წაგვიყვანდა საჟურნალო ფურცელ-მოკლეობაში, ამიტომ გადავალთ სხვა საგნებზედ.

ფრანგული ლიტერატურა (და სხა ერებისაც) მდიდარია არა მარტო თავისთავად, არამედ თარგმანებითაც და თითქმის შედეგობას აღწევს უბრალო საშუალებით: თავიანთ ენას ზედმიწევნით იცნობენ, და არა მარტო სალაპარაკოს ან საყველ-პუროს, არამედ მისევეოლუციასაც საუკუნოების განმავლობაში და უფერებენ იმ ეპოქისა და ატმოსფერის ენას, საიდანაც სთარგმნიან. (მაგ. „ტრისტანი და იზოლდა“, ან სხვა ზღაპრები თუ ლეგენდები, ან „დაფნისი და ქლოე“, „შაჰნამე“, „ილიადა და ოდისეია“ და სხვა და სხვა). ბ-ნ გვაზავას არა მარტო არა აქვს ასეთი „ლიტერატურული ხერხი“, ეპოქის სულის გადმოცემისა, ქართული და ფრანგული სიტყვების სინქრონიზაციაც არ მოეპოვება, თუ ითქმის ასე. მაგ., „ყანდი“*) მას „პოემა“ და აქვს ნათარგმნი; „ყმა“, თითქმის ყველგან „ესკლავ“-ად**). („ლაშქარ მრავალი, ყმიანი“ და სხ.), თუმცა დიდი ხანია პროფ. ნ. მარმა და სხვებმაც განმარტეს სიტყვა ყმის მრავალფეროვნობა, იმათთვისაც, ვინც „ყმას“ მარტო პოლიტიკური დემაგოგიისათვის იყენებდა. ჯარი, სპა, ლაშქარი, — გვაზავასათვის თითქმის ყველგან არის „სოლდა“, „მილიტერ“, „არმე“ და სხ. ამისთანა დღევანდელი ცნებანი, თუმცა ფრანგულშიაც მოიძებნება „გერიე, შევალიე, ს'ე ლ'ომ“ და სხ. ბ-ნმა გვაზავამ ბევრი ქართული სიტყვის მნიშვნელობა სულ არ იცის, ეტყობა, და არც შეწუხებულა ლექსიკონში მაინც ჩაეხედნა („არ ცოდნა არ ცოდვა არისო“.... როცა საყველ-პუროდ ლაპარაკობენ, მაგრამ თარგმანის დროს და ისიც „ვეფხვის ტყაოსანისა“, ვგონებთ, სავალდებულო უნდა ყოფილიყო), რადგან ასეთი შედეგებსაც აქვს: „ჩოდანი“, წერაქვი ჰგონია და სთარგმნის: „პიოშ“, ისე რომ უნდა წარმოიდგინოთ სურათი: ავთანდილი და როსტევეან მეფე ბურთაობენ ... წერაქვებით; იმ თანამედროვე ენით რომა ვსთქვათ, პოლოს სათამაშო ხელჯოხის მაგიერ, რომელსაც წინადაც (ქრისტეს წინაც) და ეხლაც ისევე ხმარობენ და ჰქვია „მაიე“. გეგონებათ, ბ-ნ გვაზავას ლიტერატურული კალმის მაგიერ, ან ჩოგანისა მაინც ჩობანი სჭეროდეს...

„ფარდაგები ოქსინოსა“, მისთვის არის „ტაპი“, თუმცა ფარდა-

*) ზოგ გამოცემაში: „ყანისა“.

***) ან „ჟენ ჰომ“.



გი, ეხლანდელ ქართულშიაც არ უდრის ხალიჩას და ძველად ხომ ეს სიტყვა ნიშნავდა ფარდას, კარის მაგივრობას სწევდა და ასმათმა რომ ნესტანის სასახლის „ფარდაგები ოქსინოსი“ ასწია, ეს იყო ძვირფასი ფარჩის ფარდის აწევა და ბ-ნმა გვაზავამ, ეტყობა, არც „ოქსინო“-სათვის შეიწუხა თავი, გავიგო თუ რა არისო.

„სარაჯი“ არის „ფონტენ“ და არა „ბასენ“.

„დურაჯი“ — ტყის კაკაბი („ტურაჩ“) და არა „ფეზან“.

„აჯა“ — „პრიერ“ და არა „პიტეი“.

„უმზრახობა“ — სადაური „კურტუაზი“ არის?

„ჩმახვა“ — „მიურმიურია“?

„მოედანი“ — „კამპანია“?

„სახლის ძირი“ — „პორტია“?

„მახვრიტეს სახვრეტელია“ — „ადმინისტრე მედიკამან“?

ხადუმი და ხათუნი ვერ გაუჩრჩევია.

„აუგი“ — სკანდალია?

„უკუთქმანია“ — ფანფარონია?

„ნაპირი“ — ო პიე?

„მარეკი“ (ადამიანია, ნადირის მომრეკი) — გვაზავას „მარეკაჟი“ (ფშანი, ადგილი) ჰგონია და სხვ. და სხ.

ასე შეიძლება, მთელი გვაზავა = ფრანგულ - ქაჯური ლექსიკონი შესდგეს, მაგრამ ესენიც საკმარისია მისახვედრად, თუ როგორი მცოდნეა „მთარგმნელი“ ორივე ენისა. და ასეთი სიტყვების უთანაბრობა ადავილი ასატანი იქნებოდა, რომ სიტყვებთან სურათები, აზრები, შედარებანი და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი ადგილები „ვ. ტ-სა“, სრულებით არ ჰკარგავდეს მთელ მშვენიერებას (მაგ., როსტევანი „ფანფარონად“ რომ გამოდის, ან საჭურისს ქალის კაბა აცვია და სხვ.);

ეხლა გამოთქმები და აზრების გადმოცემა.

ჯერ ერთი ყველგან, საცა რუსთაველი „თქვენ“-აობით ალაპარაკებს თავის გმირებს (მაგ., გვ. 262 და სხ.) „შენ“-აობით არის „ნათარგმნი“; რა მოსაზრებით? (დემოკრატიზაციის მიზნით, თუ ფრანგული ზრდილობიანობისა, საცა სწორედ „ვუ“-ს ხმარობენ?) მერე რამდენიმე დამახასიათებელი (უხვად გაბნეულიდან) მაგალითი:

სტ. 858. ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?“

ბ-ნი გვაზავა სთარგმნის: „...„დე ფორმ ე დე კულორ“ და სრულებით უკარგავს ცოცხალ არსებასთან შემადარებელ ფორმას, იმ ვარდს, რომელსაც ელაპარაკებიან და ალაპარაკებენ კიდევ.“

სტ. 863. შოთა: „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს“.

გვაზავა: demande à *Asmath* (?) quel est la force de notre amour.

და ეს ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი ტარიელის ინდივიდუალური და, ასე ვსთქვათ, ეგოცენტრიული ფოლოსოფიისა, მისი დამახასიათებელი, როგორც ტიპისა, ბ-ნმა გვაზავამ შოთას „შეუსწორა“,



რადგან ვერც გაიგო შინაარსი და სიტყვა „ასთა“, ასმათის შემოკლება ჰგონებია. და „რა გინდა“ და „გივაზიროს“ არაფერი საერთო არა აქვს არც „ფორს“-თან და არც „ამურ“-თან, ხომა.

სტ. 1508. შოთა: როსტევენი ეუბნება ავთანდილს:

„გვალე, შეგყრი, ლომო, მზესა, თავი მისკენ არე მარე“.

ბ-ნი გვაზავა: «*demain, mon (?) lion, je t'unirai à ton (?)*

soleil, aux cheveux abondants, aux cils de jais».

რამდენიც სიტყვაა, იმდენი შეცდომა და აზრის გადატრიალება ან გაუგებრობა: „გვალე“ ბ-ნი გვაზავას ვერ გაუგია, რომ ნიშნავს „იარე“ს (ან „ვალად დაგდე“) და „ხვალე“დ („დემენ“) შეუსწორებია. მერე „ლომო, მზესა“ — არსადაა ნათქვამი არც „მონ“, არც „ტონ“ და ეს „შვე აბონდან“ და „ო სილ დე ჟე“ საიდან და მიაკოსა თინათინ მზესა, ადამიანი ვერ გაიგებდა თუ ვერ მიხვდება (ალბად გულთმისნობით), რომ როსტევენი ეუბნება ავთანდილს: **შენაო,**

„ვინ(ც) გიშერი დააჯოგე წარბ-წამწამისა არე-მარე“.

ასე რომ, ავთანდილის წარბ-წამწამი, ბ-ნმა გვაზავამ თინათინს გამობა თმათა.

ასეთი „პარიკმახერობა“, შოთას დროს მით უფრო ძნელი იქნებოდა, რომ რიმელი, შრეში და პოსტიშიც ნახსენები არ არის „ვეფხვის ტყაოსან“-ში, როგორც არც ბ-ნი გვაზავას ზარბაზანი. ან თუნდაც ყოფილიყო, „წარბ-წამწამიდან“ „შვე აბონდან“-ის გაკეთება არც ერთ „ენსტიტიუ დე ბოტე“ს არ შეეძლებოდა.

ასეთი მაგალითების მოყვანა ძალიან შორს წაგვიყვანდა, სხვაც რომ არა გვქონდეს სათქმელი.

ბ-ნი გვაზავას სრულებით ვერ გაუგია, ვერც რუსთაველის სოფლმხედველობა და ვერც მისი სიმბოლიკა და ხშირად ისეთ შეცდომებს აკეთებს, რომელიც ვერ აიხსნება მარტო ენათა უცოდინარობით ან „ვ. ტ.“-ის ვერ გაგებით, არამედ საერთო ზერელობით ფილოსოფიისა, ლიტერატურისა და ფსიქოლოგიის დარგებში. არა მარტო ამათი ნიუნსების გაუგებრობით, არამედ საფუძვლების უცოდინარობით. თორემ, აბა როგორ უნდა აიხსნას ისეთი ლაფსუსები*), მაგალითად, რომ ნესტანის წერილი ტარიელთან ქაჯეთის ციხიდან, — პოეზიით, ქალის ფსიქოლოგიის ზედმიწევნითი მცოდნეობით და ფილოსოფიურ-სიმბოლიური სარჩულით, (და სხვა წერილებიც „ვ. ტ.“-ში უხვად მოყვანილი) „გადაითარგმნოს“ მხოლოდ გაცვეთილი, უგულო და უსულო, გამოფიტული სიტყვებით და არსებითი შეცდომებითაც?

მთელი წერილის (ან წერილების) მოყვანა, მათი პარალელური „თარგმანით“, გვაზავასებური გამბედაობა იქნებოდა, ამიტომ დავკმაყოფილდეთ ცოტათი.

სტროფა 1269: „...დასწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი;

ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირვალი“,

გვაზავა: ნესტანმა «*écrivit cette (?) autre (?) lettre, pleine d'émouvantes choses, tandis que les larmes (?) brillait comme des perles (?)*

sur les roses de ses joues (?)».

*) მაგ. 1525-ც „ოთხი მზე“, ნათარგმნია „ორად“. რათა?

გარდა იმისა რომ ეს „ოტრ“ და „შოზ“, და მრავალი ასეთები, მედუქნური უმწეობის ენაა და არა პოეტისა და შოთასი, როგორც ხედავთ „ვარდი“ აქ — პირია, ბაგე (და არა „ჟუ“) და „ბროლი“ — კბილები (ფრანგული „კრისტალ“) და არა „პერლ“ და ცრემლები, რომელთა სიუხვე „ვ. ტ.“-ში შესამცირებელიც არის და არა დამატებით მოსაგონარი, — სულ არ იხსენიება ამ სტროფაში.

სტ.1271: „რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია“
 გვაზავა: «La lumière du jour m'est toujours triste et sombre».

სულ სხვა აზრი, ან უკეთ, უაზრობაა: რაზომცა, ე. ი. რა ზომითაც სინათლე ნათობს, იმ ზომით ჩემთვის სიბნელე არისო და არა დღის სინათლეა „ტრისტ ე სომბრ“, რაც აბსურდული მეტაფორა იქნებოდა.

სტ. 1274. შოთა: „მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგულისად,

ვზი მზრდელი სიყვარულისა მის შენგან დანერგულისად“.
 გვაზავა: «ne m'oublie pas, bien que je suis perdu pour toi».

«Je suis seule (?) et je garde (მზრდელი?) mon (?) amour au fond de mon coeur».

სრულებით საწინააღმდეგო აზრი აქვს გამოთქმული შოთას: მომიგონებდე, როგორც შენთვის დაკარგულს (ე. ი. სწორედ დამივიწყეო*) და არა „ნე მუბლი პა“.) და „შენგან დანერგული სიყვარულის მზრდელი ვარო“, ასეთი იშვიათი სილამაზისა და მსოფლიო ლიტერატურაშიაც უცნობი გადმოცემა კაცისაგან დანერგილ და ქალის გულში გაზრდილ სიყვარულისა, რასაც შოთა კოსმიურ და მითოლოგიურ შემეცნებიდან იღებს, როგორც დინამიურ მოვლენას, ბ-ნი გვაზავა მიუხვედრელობით, სტაციონალურ „გარდ“ და „მონ ამურადა“ ხდის.

სტ. 1275: „ეტერების“, ნიშნავს უშველის, მფარველობს და არა დაჯილდოვებას („რეკომპანს“). „შეეფერების“ სრულიად არ შეეფერება „ს'აშარნ ავეკ კრიუოტე“ და „სოფელი“ არსად „ვ. ტ.“-ში არ ნიშნავს „სორ, დესტინე“, როგორც ბ-ნი გვაზავა „სთარგმნის“, თითქმის ყველგან, და ამით არღვევს შოთას მკაფიო სოფლმხედველობას.

სტ. 1280-ში ხომ ბ-ნი გვაზავას გამოუტოვებია „თარგმანში“ წყალი და ცეცხლი, რადგან არ ესმის, რომ ნესტანის სიტყვები:

„...დამხსნას სოფლისა შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“

ცარიელი სიტყვები კი არ არის და არც მეტაფორა, არამედ საფუძველი იმ ფილოსოფიური შემეცნებისა, რომლითაც აღმოსავლური, დასავლური, ბერძნული თუ ქართული სოფლმხედველობით, მსოფლიო წარმოსდგება ოთხი ელემენტისაგან (ქართულად კავშირთაგან): ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი და არა ორისაგან („ლ'ერ“ და „ტერ“) როგორც ჩვენი „მთარგმნელი“ ამოკლებს... ცოდნის სიმოკლისა გამო, რბილად რომა ვსთქვათ.

სტ. 1281-ში სულ არაფერი ესმის მაშინდელი ფილოსოფიური სიმ-

*) და ამას მერეც ხაზს უსვამს: „დამთმეო“ 1278; და კიდევ: 1282: „ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა“.



ბოლო-თერმინოლოგიისა და ნესტანს პირდაპირ სისულელეებს ათქმე-
 ვინებს, საწყალსა: „ეტლი“ — სატელიტი ჰგონია და ამიტომ ნესტანი
 ვითომ ურჩევს ტარიელსა „სდიე მზესაო“ და იქ (ე. ი. საიქიოს) შეგ-
 ხედებიო; და საქმე კი ასეა: ნესტანის წარმოდგენით (ე.ი. შოთას დროის
 წარმოდგენით, რომელზედაც წარმოდგენაც არა ჰქონია ბ-ნ „მთარ-
 გმნელს“) ტარიელი, როგორც მზის ეტლი (ანუ, რომ გადმოვათანამე-
 დროვოდ: მზის ეტლზე დაბადებულნი), სიცოცხლეშიაც მისი წილია და
 ამიტომ ეუბნება ნესტანი: „მუნა გნახო, მანდვე გსახო“ და არა ეპატი-
 ეება საიქიოს, როგორც ბ. გვაზავს „თარგმნით“ გამოდის, რადგან წა-
 რმოდგენაც არა ჰქონია არც მაშინდელ ცოდნათა დონე-მდგომარეობა-
 ზედ ასტრონომიასა, ასტროლოგიასა და სამყაროზედ და არც ეხლა-
 ნდელზედ (:მზეს „სატელიტები“ ეხლაც არა ჰყავს; ცთომილთა სატე-
 ლიტები შოთას შემდეგაა აღმოჩენილი და საერთოდ ბ-ნ გვაზავს
 ასტრო-ნომო-ლოგიური თერმინოლოგია: მზე, მთვარე, სატელიტი,
 კონსტელაცია, ეტლი, სამყარო და სხვა და სხვა მეტად აკოჭლებს შო-
 თას უზადოდ მყწობრ შეხამებას პოეზიისა და ფილოსოფიისა, რომელ
 ორთავე დარგში „მთარგმნელი“ კოჭლობს: პატარძალმა ძროხა ვერ
 მოწველა და ბაკი მრუდეთაო..

ასევე სტ. 1285 და 1286-ში, გარდა სიტყვების აღრევისა, რითაც
 აზრი და სურათი იცვლება („ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად
 და სატკივარად“, სრულებით არა ჰგავს: „ასე დე პლიორ ე დე სანგლო“ს;
 „გავხდები ყორანთა დასაყივარად“, არა ჰგავს:

«je jeterai mon corps (?) en pâture aux corbeaux».

ფიზიკურადაც მოუხერხებელია ადამიანმა თავისი გვაში გადაუ-
 გდოს ყორნებს. „ყორნის ფრთათად მონაბერი“, არ არის: «les ailes de
 la nuit» და სხვ.).

ბ-ნ გვაზავს კოსმოგონიური: „რისხვით მობრუნდა ჩვენზედა ბორ-
 ბალი ცისა შვიდისა“ (ე. ი. შვიდი ცის ბრუნვა ისეთ მდგომარეობაში
 იყო, რომელიც ცის რისხვას მოასწავებდა) „ს'ეკრულიე“-დ გადაუთა-
 რგმნია და ნესტან-ტარიელისათვის თავზე ჩამოუნგრევიდა, რაც ეწინა-
 აღმდეგება არა მარტო სიტყვებს, არამედ მაშინდელ წარმოდგენებსა
 და სოფლმხედველობასაც.

ასეთი „მარგალიტების“ ამოწერა, მთელი ორი წიგნის გადმოწე-
 რას დაემგვანებოდა და, დროა, გავათავოთ, ესეცა კმარა, მგონია, რად-
 გან პირდაპირ შეუძლებელია დაიშრიტოს ის უგულობა, უსულობა და
 ბლაგვი ენით გადმოცემა უბრალო ამბებისა და ცოცხალ სურათებისა, ა-
 რამც თუ, ცოტად თუ მეტად, აზროვანი, ან გრძნობიანი თუ მშვენიე-
 რების ადგილებისა, რომელნიც ბ-ნმა გვაზავამ „გაისემექნა“ იოლად
 და დაჩორკნა. სიყვარულით და აგზნებით კი არაა ნათარგმნი, არამედ
 თითქო: ...

კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია,

ლაფში ჩაფლული ურემი, შინ მიტანილი ჰგონია...

რადგან „ვეფხვისტყაოსნისა“ „თარგმანში“ აღარა დარჩა რა, გარ-



და შეხანხლილი ჩონჩხისა, და ბ. გვაზავამ ყველა სილამაზენი ჩამოაფხრიწა, სიცოცხლე გაუშრო, გონება ამოუღო, თვალები დაუყენა და უნიჭო ენა შეაბა. არა გვეგონია ამით სამსახური გაეწიოს ან ფრანგული და ან ქართული ლიტერატურისათვის.

ერჩივნა, ისევ სათავისკბილო ამბები ეთარგმნა, როგორც ორმოცი წლის წინად: იხილე ბ-ნ გვაზავას თარგმანი ია კარგარეთელის რომანსებისა 1897 წ., საცა შვება = Май -ია დაირა = Аргас სანეტარო = ТЯЖЕЛЫЙ და სხვა ასეთივე ცოდნა რუსულისაც ან

„და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს შევწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცავს

И ДЫМОМ (?) КРУЖАТЬСЯ ПОД НЕЮ (?), ПЛАТЬЕ (?) БОГИНИ НЕЖНО ОБВЪЮ» და ჩვენს ეროვნულ სახარებაზედ არ ელესნა თავისი ბლაგვი ორენობა. თორემ ეხლა ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქო სოფლელს ეამბნოს ძველი ამბავი... ახალი ტერმინოლოგიით: „კი, ბატონო, ეილო იოდი, ბინტი და შოუხვია თავი აფთანდილს, ... მერე გეისროლა ისარი ცაში და ქე მოკლა თებზი, ჩადო პლატუქში და წემეილო ნესტართან...“ (იხ. ხალხური „ვეფხვისტყაოსანი“, ნაამბობი აქარელისაგან).

და რა მაგალითი უნდა მიეცეს ჩვენს ისედაც აცუნცრუკებულ ახალგაზრდობას, როცა ასეთი საგნის შეუსწავლად, ზერელე-ბურბუშელაობით, ენათა უცოდინრად და სიწმიდეთა პროფანაციით ჰკიდებს ხელს არა თავის საქმეს — უფროსი თაობა?

„ვეფხვის ტყაოსნისა“ თუ ასე არაფერი ესმოდა ბ-ნ გვაზავას, ეკითხნა მაინც ისეთ პატივცემულ მცოდნეთათვის, როგორიც არიან ე. თაყაიშვილი, ზ. ავალიშვილი, მ. წერეთელი და სხ., რომელთა მისამართები არ უნდა დაჰკარგოდა, თუ ლექსიკონები ვერ მონახა და ... ცოდნის შესაძენად კი დაუგვიანდა.

რ. გ.

დაიბეჭდა და გამოვიდა ზურაბ ავალიშვილის ახალი წიგნი:

თ ე ი მ უ რ ა ზ კ ი რ ვ ე ლ ი
და მისი პოემა

„ წ ა მ ე ბ ა მ ე თ ე ვ ა ნ დ ე დ ო ფ ლ ი ს ა “

დამატება:

ს ა მ ი ის ტ ო რ ი უ ლ ი ს ა ბ უ თ ი

ბ-ნ ზ. ავალიშვილის წიგნს, — რომლის ცალკე ნაწილები უკვე დაბეჭდილი იყო უკრ. „კავკასია“-ში და სხვა პერიოდულ გამოცემებში, — წინ უძღვის ფრიად საინტერესო შინაარსისა და ისტორიულადაც საყურადღებო შესავალი, რისთვისაც პატივცემულ ავტორს უსარგებლნია ახლად აღმოჩენილი ძვირფასი მასალებით.

წიგნის ფასი 10 ფრანკი. შეძენა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Mr J. Gvaramadze 73, rue Froidevaux Paris (14^e)

Le Gérant: R. Cornel.

Imprimerie de NAVARRE — 51, rue des Gobelins, Paris-13^e.